საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 6 თებერვალი, 2013 წელი.

№22 (7149)

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბეჭდვები სიფცვაა, ფცუილებით და ჭორებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.

„ნაციონალური მოძრაობის მიერ საკონსტიტუციო ცვლილებების მხარდაჭერას მნიშვნელობა არა ქვეყნისთვის, არამედ თვით ამ მოძრაობისთვის აქვს“

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის პრესკონფერენცია 2013 წლის 5 თებერვალს სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“

2-3

4 აურზაური სლხინეთში

დემოკრატია და სამოქალაქო საზოგადოების პრობლემა 6

კუბლაშვილი თანაგუნდელების გადარჩენას ცდილობს 9

საფერავის დაბრუნება 8

კიბო არ არის ფატალური დაავადება! 5

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„ნაციონალური მოძრაობის მიერ საკონსტიტუციო ცვლილებების მხარდაჭერას მნიშვნელობა არა ქვეყნისთვის, არამედ თვით ამ მოძრაობისთვის აქვს“

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის პრესკონფერენცია 2013 წლის 5 თებერვალს სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“

საქართველოს პრემიერ-მინისტრი დღესაც საფრანგეთის მოქალაქეა და საფრანგეთის მოქალაქეობაზე უარის თქმის პროცესი შეაჩერა. ამის შესახებ ბიძინა ივანიშვილმა ჟურნალისტებს გუშინდელი პრესკონფერენციის დაწყებამდე განუცხადა.

მისი თქმით, კოჰაბიტაციის პროცესის დაწყებისას მიხეილ სააკაშვილის მიერ ნაჩუქარ საქართველოს მოქალაქეობას არ თანხმდება.

„მე მოქალაქეობა მომეცემოდა იმ პირობით, თუ საფრანგეთის მოქალაქეობაზე უარს ვიტყოდი, თუმცა ეს პროცესი შევაჩერე. ამათ ახირებებზე რატომ უნდა ვიმუშაო, მით უმეტეს მაშინ, როდესაც საკმარისია, მივიღო საქართველოს მოქალქეობა და პრემიერ-მინისტრობის უფლება მერთმევა, ასეთი უაზრო ჩანაწერი გააკეთეს კონსტიტუციაში, რადგან ჰქონდათ შიში, რუსეთიდან ან სხვა ქვეყნებიდან მსურველები არ გამოჩენილიყვნენ. კონსტიტუციაში არსებობს ჩანაწერი, რომლის თანახმადაც, ორმაგი მოქალაქე არ შეიძლება გახდეს პრემიერი, თუმცა ამავდროულად ევროპის ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქეს პრემიერ-მინისტრობა შეუძლია“, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

მისივე თქმით, საქართველოს ახალი ხელისუფლება ეცდება, გაატაროს ნორმალური საკონსტიტუციო ცვლილება, რომელიც ყველას ყველაფრის უფლებას მისცემს.

საქართველოს პრეზიდენტი 8 თებერვალს პარლამენტში მივა.

პრეზიდენტის პარლამენტში ყოველწლიური მოხსენებით გამოსვლას მთავრობა არ დაესწრება. ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ჟურნალისტებთან გუშინდელ შეხვედრაზე განაცხადა. „არ ვაპირებთ ქუთაისში წასვლას. რა უნდა თქვას ახალი, ალბათ ახალ სიცრუეებს შემოიტანს“, — განაცხადა ივანიშვილმა.

მისივე განმარტებით, ის სააკაშვილთან პოლემიკაში მხოლოდ მაშინ შევა, როცა პრეზიდენტი პოზიციას შეიცვლის და ნორმალურ ოპონირებას მოახერხებს.

ამასთან, ივანიშვილმა კომენტარი გააკეთა იმასთან დაკავშირებითაც, ხომ არ აპირებს უმრავლესობა საპრეზიდენტო არჩევნებამდე დამატებით კიდევ რაიმე ტიპის ცვლილებების მომზადებას, მათ შორის პარლამენტის მიერ პრეზიდენტის შეესაძლო არჩევასთან დაკავშირებით.

„ეს საკითხი გუნდში არ განგვიხილავს. ცალკეულმა დეპუტატებმა გამოთქვეს თავიანთი აზრი, მაგრამ უმრავლესობაში ამის განხილვა არ მომხდარა, შესაბამისად არ ვაპირებთ ამის ინიცირებას, თუმცა რაც შეეხება სხვა ცვლილებებს, ბუნებრივია, ის გაგრძელდება, რადგან კონსტიტუცია საშინელ დღეშია. ის უნდა მოვარგოთ ჩვენი ქვეყნის პერსპექტივას“, — აღნიშნა ივანიშვილმა.

„ნაციონალური მოძრაობის„ მიერ საკონსტიტუციო ცვლილებების მხარდაჭერას მნიშვნელობა არა ქვეყნისთვის, არამედ მათთვის აქვს, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

„რაც შეეხება საკონსტიტუციო ცვლილებას და რეაქციას უმცირესობის მხრიდან. ბაქრაძის განცხადებას უნიჭო განცხადებას დავარქმევდი. კარგად ჩანს, რომ ისინი სხვა რეალობაში იმყოფებიან და კარგად ვერ გაიგეს იმ განცხადების ფასი, რომელიც დავით საგანელიძის მიერ გაკეთდა. ჩვენ არავითარ ვაჭრობაზე არ მივდივართ და არ ვსაჭიროებთ მათ დახმარებას. ქვეყნისთვის არავითარი დიდი მნიშვნელობა არ აქვს, ბაქრაძე თუ ნებისმიერი ნაციონალი დაუჭერს მხარს თუ არა ამ ცვლილებებს, მნიშვნელობა აქვს მხოლოდ მათთვის, რადგან ეძლევათ საშუალება დაბრუნდნენ და გახდნენ ქართული საზოგადოების წევრები“, — განაცხადა ივანიშვილმა.

მისივე განმარტებით, „ნაციონალურ მოძრაობას„ საშუალება აქვს ან „თავისი პოზიციები გახადოს აბსოლუტურად მიუღებელი მოსახლეობისთვის, ან რაღაც პერსპექტივა მისცენ მას“.

ჩვენ მოვახერხეთ იმაზე ბევრის გაკეთება, ვიდრე ამ დროში იყო შესაძლებელი, — ასე აფასებს ბიძინა ივანიშვილი მთავრობის 100 დღის მუშაობას. ივანიშვილმა მთავრობის 3-თვიანი მუშაობის შესახებ ანგარიში მედიას „შერატონ მეტეხი პალასში„ შეხვედრაზე ჩააბარა. პრემიერმა საუბარი სამართლიანობის აღდგენის პროცესით დაიწყო და აღნიშნა, რომ ძალადობა, რასაც წინა ხელისუფლება ახორციელებდა, შეწყდა.

„სამართლიანობის აღდგენის პროცესი დაწყებულია და კარგად ვითარდება. მთავარია, ის დიდი ძალადობა, რასაც წინა ხელისუფლება ახორციელებდა, შეწყდა. ძველი მთავრობის სისტემის შედეგად დაზარალებულებიდან 190 პოლიტპატიმარი გათავისუფლებულია, 3 ათასზე მეტი კი - შეწყალებული. პოლიტპატიმართა ამხელა რიცხვი განპირობებულია იმით, რომ საქართველოში ძალადობა იყო უპრეცედენტო, ქართველი ხალხი კი მას არ ეგუებოდა“, — განაცხადა ივანიშვილმა.

პრემიერმა მთავრობის მიღწევებს შორის სხვადასხვა პროდუქტზე ფასების შემცირებაც დაასახელა და განმარტა, რომ ამ კუთხით ხელისუფლება მუშაობას აგრძელებს.

„ტრაბახი არ მინდა გამომივიდეს, რადგან არ მიყვარს, მაგრამ რამდენიმე მონაცემს გეტყვით — საქართველოში დაიწყო ფასების შემცირება. ელექტროენერგიის გადასახი შემცირდა 21-27 %-ით, საწვავის ფასები შემცირდა საშუალოდ 10 %-ით, გაზის ფასი 10 %-ით შემცირდება თებერვლიდან და განვაგრძობთ მუშაობას. შეინიშნება ფარმაცევტული პროდუქციის ფასების 30-დან 50 %-მდე შემცირებაც“, — აღნიშნა ივანიშვილმა.

„სამართლიანობის აღდგენის პროცესი დაწყებულია და კარგად ვითარდება. მთავარია, ის დიდი ძალადობა, რასაც წინა ხელისუფლება ახორციელებდა, შეწყდა. ძველი მთავრობის სისტემის შედეგად დაზარალებულებიდან 190 პოლიტპატიმარი გათავისუფლებულია, 3 ათასზე მეტი კი - შეწყალებული“.

პრემიერმა 2013 წლის ბიუჯეტის პროექტზეც გამამახვილა ყურადღება და იმ განსხვავებებზე ისაუბრა, რაც მიმდინარე წლის ბიუჯეტის არსებულ და წინა ხელისუფლების მიერ შემუშავებულ პროექტებს შორის არსებობს.

„კოლოსალური სხვაობაა წინა ხელისუფლების მიერ მომზადებული ბიუჯეტის პროექტსა და ჩვენს პროექტს შორის. ვფიქრობ, რომ ძალიან კარგი ბიუჯეტი მივიღეთ. ზოგიერთ ციფრს დაგისახელებთ. 2012 წელთან შედარებით ჯანდაცვის ბიუჯეტი პირველად საქართველოს ისტორიაში გაორმაგდა, 1 თებერვლიდან მინიმალური სადაზღვევო პაკეტით იქნება ყველა მოქალაქე უზრუნველყოფილი, 1 ივლისიდან კი ყველა მიიღებს საბაზისო სადაზღვევო პაკეტს. საპენსიო უზრუნველყოფისთვის 2013 წლის ბიუჯეტში მილიარდ 654 მილიონზე მეტი ლარია გაწერილი, რომელიც 20 %-ითაა გაზრდილი წინა წელთან შედარებით. შესაბამისად, 1 აპრილიდან ყველა პენსიონერის და პირველი ჯგუფის ინვალიდის პენსია გახდება 125 ლარი, 1 სექტემბრიდან კი ყველა პენსიონერისა და პირველი ჯგუფის ინვალიდის პენსია გაიზრდება და გაუტოლდება საარსებო მინიმუმსს და გახდება 150 ლარი. ყველა სხვა დანარჩენი კატეგორიის ადამიანის პენსია გაიზრდება 100 ლარამდე. ასევე, 1 ივლისიდან 57 ათას ქულამდე მქონე სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება გაორმაგდება. 2013 წლის ბიუჯეტში სიახლე იქნება საშემოსავლო გადახასადთან დაკავშირებითაც. 6 ათას ლარამდე შემოსავლის მქონე პირები 150 ლარამდე საშემოსავლო გადასახადით აღარ დაიბეგრება. 1 იანვრიდან საგადასახადო კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებებით შემცირდა ჯარიმებიც“, — განაცხადა პრემიერმა.

ამასთან, ბიძინა ივანიშვილმა სოფლის მეურნეობის სფეროში დაგეგმილ პროგრამებზეც გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ ქართული საზოგადოება არნახული საგაზაფხულო სამუშაოების მომსწრე გახდება.

„1 თებერვლიდან 1 აგვისტომდე განხორციელდება მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაობის ხელშემწყობი პროგრამა. მიწების აღწერა იყო მოუგვარებელი და ამ კუთხით სოფლის მეურნეობის სამინისტრომ დიდი სამუშაოები ჩატარა, 640 ათას მოსახლეს კარდაკარის შემოვლის პრინციპით დავუმტკიცეთ მიწები. ეს პროცესი დასრულდა და ხვნა-თესვაზე, სასუქზე და ა.შ. გამზადებული გვაქვს სასოფლო-სამეურნეო ბარათები. გარდა ამისა, გლეხები შეძლებენ 5 ათასიდან 100 ათას ლარამდე სამომხარებლო კრედიტების აღებას. ისინი მხოლოდ 7-დან 8 %-ს გადაიხდიან, დანარჩენს კი ის მილიარდიანი ფონდი დაფარავს, მე რომ ვსაუბრობდი. სოფლის მეურნეობაში მოხდება არნახული დახმარება და იქნებით მოწმეები, რომ უპრეცედენტო საგაზაფხულო სამუშაოები დაიწყება“, — განმარტა ივანიშვილმა.

მედიისთვის ანგარიშის ჩაბარებისას პრემიერმა განათლების სექტორში დაგეგმილ რეფორმებზეც ისაუბრა და ამ კუთხით კმაყოფილება პედაგოგებისთვის პენსიების ზრდასა და საგრანტო პროგრამებზე გამოთქვა.

პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის თქმით, პრეზიდენტის განცხადება იმის შესახებ, თითქოს ვაჰაგნ ჩახალიანის გათავისუფლების დაუშვებლობის თაობაზე მისგან ინფორმირებული იყო, სიცრუა. შესაბამისი განცხადება ივანიშვილმა „შერატონ მეტეხი პალასში„ მიმდინარე პრესკონფერენციაზე გააკეთა.

„მართალი არ არის, როცა მიხეილ სააკაშვილი ამბობს, რომ ჩემთან მუდმივად ათანხმებდა, რომ ჩახალიანის გათავისუფლება არ მომხდარიყო. საუბარიც არ მქონია. ის ცრუობს, როცა ამბობს, რომ 20 ათასი სამუშაო ადგილი გაუქმდა, რომ თითქოს ვენეციის კომისიის პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკონსტიტუციო ცვლილებების მიღება საჭირო არ არის. ეს კაცი ყველაფერზე ცრუობს“, — აცხადებს ბიძინა ივანიშვილი.

პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის შეფასებით, მიხეილ სააკაშვილი, ვანო მერაბიშვილი და გიგი უგულავა პანიკაში მათი მისამართით გაჩენილი კითხვების გამო არიან და ცდილობენ, მოსახლეობაც ამ მდგომარეობაში ამყოფონ.

პრემიერ-მინისტრის აზრით, ქვეყნის მდგომარეობის გაუარესებისა და არსებული მთავრობისთვის ოთხი წლით ვერ დაცდის შესახებ გაკეთებული განცხადებები, რეალურად მათი მისამართით არსებულ საკმაოდ სერიოზულ კითხვებს უკავშირდება.

ივანიშვილმა პრესკონფერენციაზე ხაზგასმით აღნიშნა, რომ „თუკი აქამდე მიხეილ სააკაშვილი, ვანო მერაბიშვილი, გიგი უგულავა და ზურაბ ადეიშვილი ცდილობდნენ საკუთარი ბედნიერება ვირტუალურად დანარჩენ მოსახლეობაზეც გაევრცელებინათ, ახლა ანალოგიურად საკუთარ პანიკურ მდგომარეობას ავრცელებენ ხალხზე“.

„ჩვენ აქამდე ვისმენდით მათ სატელევიზიო განცხადებებს აღმშენებლობაზე, იმის შესახებ, თუ რა ბედნიერია ხალხი, რა კარგად ცხოვრობს და როგორ შურთ ჩვენი ევროპელებს და სხვა ქვეყნებს, მაშინ როცა, უკვე ყველამ ვიცით, რაც ხდებოდა ციხეებში, როგორ იცლებოდა ქართული სოფლები, როგორ გარბოდა ხალხი საზღვარგარეთ და როგორ ძალადობდნენ ყველა ოჯახზე. რეალურად, ეს ოთხი ადამიანი იყო მართლაც ბედნიერი, იყოფდნენ მონაპოვარს, რაც კი ქვეყანას გააჩნდა და საკუთარ ბედნიერებას ვირტუალურად ავრცელებდნენ ხალხზე. იგივე ხდება ახლაც, როცა ეს ადამიანები აპოკალიფსზე საუბრობენ, არიან პანიკაში და ამბობენ, რომ ხელისუფლება არაფერს აკეთებს. საქმე ის არის, რომ მათ მიმართ არსებობს ბევრი კითხვა, რომელსაც პასუხები უნდა გასცენ და პანიკაშიც ამიტომ არიან და უნდათ, რომ მთელი საქართველო პანიკაში ამყოფონ. საპატრიარქოში სააკაშვილმა თქვა: — „არ ვიცი, რატომ გაიქცა ზურაბ ადეიშვილი, ის ძირითადად ტრამვაით დადის ევროპაშიო„. არ გეტყვით, მე რა ვუპასუხე, მაგრამ რატომ გაიქცა, თუკი ტრამვაით მოგზაურობს?! ტრამვაი ჩვენ არ გვაქვს, რადგან აყარეს, მაგრამ ჩამოვიდეს და ტროლეიბუსის ფულს მივცემთ“, — განაცხადა ივანიშვილმა და საზოგადოებას მოუწოდა, „დაწყნარდნენ და არ აყვნენ „ნაციონალური მოძრაობის“ სიცრუეს“.

ბიძინა ივანიშვილის აზრით, გიგი უგულავა მშიშარაა. „გიგი უგულავა ძალიან მშიშარა კაცი გამოდგა. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ პროკურატურამდეც ვერ მივიდა და ამ დროს გმირად უნდა რომ დახატონ. ვერ გაბედა ამ კაცმა პროკურატურამდე მისვლა“, — განაცხადა ივანიშვილმა ჟურნალისტებთან გუშინდელ შეხვედრაზე.

მისივე განმარტებით, თბილისის მერის მიმართ კიდევ „სხვა კითხვებიც“ არსებობს.

„კითხვები არსებობს და აბსოლუტურად ჯანსაღი. მის მიმართ არა მარტო ის კითხვები არსებობს, რომელიც უკვე დაუსვეს, არამედ კიდევ სხვა კითხვებიც“, — აღნიშნა ივანიშვილმა და აქვე დასძინა, რომ პროკურატურამ უგულავას დასაკითხად მერიაში მისვლით, როგორც მერის მიმართ, გამონაკლისი დაუშვა.

ის, რაც „ნაციონალურმა მოძრაობამ„ გა-

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გზად მომავლისკენ!

სული 8 წლის განმავლობაში დანერგა, საქართველოს მოსახლეობაში მინიმუმ ალერგიას გამოიწვევს, – ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ჟურნალისტებთან გუშინდელ შეხვედრაზე განაცხადა, რომლის დროსაც ჟურნალისტები დაინტერესდნენ, თუ როგორ ხედავს ის ყოფილი მმართველი გუნდის მომავალს.

„ვფიქრობ, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ სახელიც კი უახლოეს ათწლეულებში ალერგიას გამოიწვევს. თუ მის წევრებს სურვილი აქვთ, წარმატებული პოლიტიკოსები იყვნენ, ფორმა უნდა შეცვალონ, რეალობა გაიაზრონ და გაიგონ, რომ საქართველოს მოსახლეობა ისეთი არაა, როგორიც ეგონათ“, – აღნიშნა პრემიერმა.

მერაბიშვილი ჩქარობს, ორჯერ დაუძახეს უკვე და მესამედ რომ დაუძახონ, რა ქნას მერე – ასეთი კომენტარი გააკეთა ბიძინა ივანიშვილმა ვანო მერაბიშვილის განცხადებაზე, რომ ისინი ამ მთავრობას 4 წელი ვერ დაელოდებიან.

„ინტერპრესნიუსის“ კითხვაზე, ხომ არ გახდა ირაკლი ალასანიასთვის „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან ლაჩარის წოდების მიზეზი ივანიშვილის მიერ თავდაცვის მინისტრთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადებები და დავით საგანელიძის მიერ „თავისუფალი დემოკრატების“ მიმართ გაკეთებული განცხადებები ე.წ. ჩანერგილებზე, ივანიშვილმა აღნიშნა, რომ ასეთი კატეგორიის ადამიანები შეიძლება იყვნენ, თუმცა, ამაში ირაკლი ალასანიას ბრალეულობა არაა.

„ნაციონალურმა მოძრაობამ“ იმარჯვა და მოახერხა იქ საკუთარი ხალხის ჩანერგვა. მაგის ოსტატები არიან. სიცრუეს და სეთურის სამსახურსაც კარგად ახერხებენ. ამაში ირაკლის ბრალეულობა არაფერი არაა“, – განაცხადა ივანიშვილმა.

პრემიერის თქმით, გასაგებია, რომ ალასანიას გადაბირების მცდელობა აქვთ, ამაზე ჭორებიც დადის, რაზეც მან თავდაცვის მინისტრსაც ჰკითხა და პასუხად მიიღო, რომ მსგავსი არაფერი ხდება.

ივანიშვილმა ალასანიასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ „პატარა გადაცდომა იყო და რეაქციაც იყო ჯანსაღი“. პრემიერის განცხადებით, არის მცდელობა, როგორმე გახლიჩონ კოალიცია.

„მე ერთში გარწმუნებთ. სანამ პოლიტიკაში ვარ, ვინც საით არ უნდა გადახტეს, არაფერი არ მოხდება და საკუთარ თავს დაიზიანებს, საკუთარ კისერს მოიტეხავს მხოლოდ. დარჩება მდგრადი ძალა, რომელზეც საზოგადოება მოახერხებს სწორებას“, – განაცხადა ივანიშვილმა და დასძინა, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ალასანია არ ჰყავდა მხედველობაში.

პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი ირაკლი ალასანიას დუბაიში ვიზიტს „პატარა შეცდომად“ აფასებს. „მართლაც მქონდა მთავრობის სხდომაზე დუბაისთან დაკავშირებით შეკითხვა. მქონდა სხვა შეკითხვებიც, მაგრამ ამ თემის აჟიტირება არ მინდა, რამდენადაც ისეთი არაფერი მომხდარა, რაც საზოგადოებაში გავიდა. შეცდომა შეიძლება ყველას მოუვიდეს, ჯერ ახალგაზრდაა ირაკლი, პატარა რაღაც შეეშალა. ეს პირადული საკითხია და პირადულში არ შევდივარ. სხვათა შორის, ასეთი პრეცედენტი მოხდა არჩევნების დროს – ვიღაცებს გუნდიდან რაღაც ფილმები გადაუღეს და გაწბილებულები იყვნენ, როგორ დავენახოთო. მე დავაწყნარე, ეს ჩემი საქმე არაა, თქვენს მეუღლეებს დაელაპარაკეთ-მეთქი. მე პირადულში არ შევდივარ ზედმეტად, თუმცა, ოჯახთან ჩემი დამოკიდებულება მაქვს და ეს ჩემთვის სხვა რამეს წარმოადგენს, მაგრამ ზოგიერთი ჩემი ახლობელი ღალატობს მეუღლეს. ირაკლი არ მყავს მხედველობაში ამ შემთხვევაში“, – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა მედიის წარმომადგენლების შესაბამის კითხვაზე პასუხისას.

რაც შეეხება დუბაის გარდა, ალასანიას საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთში არაოფიციალური მოგზაურობების შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას, პრემიერის თქმით, არსებული კითხვების მოხსნის მიზნით, ის თავდაცვის მინისტრს მოსთხოვს გამოაქვეყნოს, თუ ვის და როდის შეხვდა ბრიტანეთში.

„დუბაიში მართლაც იყო პატარა გაუგებრობა და ის დავივიწყოთ“.

პრემიერმა ისიც დასძინა, რომ ალასანია კოალიციის გუნდის წევრია და „ქართული ოცნებიდან“ მის გასვლასთან დაკავშირებით „არავითარი კითხვები არ ისმის“.

პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს, ახალი საპრეზიდენტო ინსტიტუტის პირობებში, პრეზიდენტობის „ეტალონ“ კანდიდატად ვახტანგ ხმალაძე ესახება, ირაკლი ალასანია კი, მისი აზრით, „ამ ეტალონს“ ვერ ერგება. ამის შესახებ ბიძინა ივანიშვილმა ჟურნალისტებთან გუშინდელ შეხვედრაზე განაცხადა.

„პრეზიდენტის პოსტზე მე ვახტანგ ხმალაძე აბსოლუტურად შეგნებულად დავასახელე. ეს იყო სიმბოლური იმისა, რომ საზოგადოებასა და კოალიციის წევრებს კარგად გაეგოთ ახალი ინსტიტუტის მნიშვნელობა. ის ინსტიტუტი, რაც დღეს არის და რაც შემოდის, პრინციპულად განსხვავებულია. ამისთვის ეტალონურია ხმალაძე. ახალი ინსტიტუტის დროს პრეზიდენტს უფრო კრიზისის შემთხვევაში მომრიგებლის როლი აქვს“, – განაცხადა ივანიშვილმა.

რაც შეეხება მედიის წარმომადგენლების შეკითხვას, რამდენად შესაძლებელია კოალიციის საპრეზიდენტო კანდიდატი მოქმედი თავდაცვის მინისტრი იყოს, პრემიერმა აღნიშნა, რომ ალასანია „ამ ეტალონს“ ვერ ერგება.

„საქართველოს ყველა მოქალაქეს, მათ შორის ალასანიას ყველაფრის უფლება აქვს. თვითონ თუ მოუნდება, გუნდის ნებისმიერ წევრს შეუძლია ეს გააკეთოს, ოღონდ ფორმები დაიცვას სწორად. თუ კოალიციაშია, კოალიციას შეეკითხოს, თუ მის აზრს არ გაიზიარებს, გადის კოალიციიდან და აკეთებს, რისი სურვილიც აქვს. კოალიციაში ამის განხილვა არ დაგვიწყია, შესაბამისად, პასუხი არ გვაქვს, თუმცა, ჩემი პირადი გადმოსახედიდან, ალასანია ამ ეტალონს, რაზეც უკვე ვისაუბრე, ვერ ერგება, მაგრამ მე მარტო არ გადავწყვეტ ამ საკითხს, გარწმუნებთ“, – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

მისივე განმარტებით, თუ ალასანიას ან სხვა ვინმეს მისი ეს აზრი არ მოეწონება, შეუძლია კოალიციიდან გავიდეს და კენჭი იყაროს.

ვიცე-პრემიერის პოსტზე ირაკლი ალასანიას, სავარაუდოდ, გიორგი მარგველაშვილი შეცვლის, – ამის შესახებ ჟურნალისტებთან შეხვედრაზე პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა. „გუნდისთვის ჯერ არ მითქვამს, მაგრამ გიორგი მარგველაშვილზე ვფიქრობ. მიმაჩნია, რომ ის იქნება კარგი ვიცე-პრემიერი“, – აღნიშნა ივანიშვილმა.

მისივე განმარტებით, მთავრობაში არც ერთი ცუდი მინისტრი არ არის და სწორედ ამიტომ მინისტრთა კაბინეტში არანაირი ცვლილება არ იგეგმება.

„გაიხსენეთ წინა ხელისუფლების დროინდელი „კარუსელები“ – საბავშვო ბაღის მოსწავლეებივით მართავდნენ სახელმწიფოს და გადაადგილებები იყო გაურკვველი რაოდენობის. ჩვენთან არავითარი გადაადგილება ჯერ არ მომხდარა. ვიცე-პრემიერის პოსტის უარყოფა გადაადგილებას არ იწვევს. ალასანია ინარჩუნებს მის ძირითად პოსტს, ისაა თავდაცვის მინისტრი. ვფიქრობ, ეფექტური მთავრობაა, პატარა ცდომილებები შეიძლება იყოს, მაგრამ ეს ნორმალურია. არავითარი გადაადგილებები არ იგეგმება. ძალიან კმაყოფილი ვარ ცალკეული მინისტრების მუშაობით, ზოგიერთის უფრო მეტად, მაგრამ არც ერთი ცუდი მინისტრი არაა დღეს მთავრობაში“, – აღნიშნა ივანიშვილმა.

რაც შეეხება სავარაუდო საპრეზიდენტო კანდიდატს, პრემიერი აღნიშნულზე საუბარს ნაადრევად მიიჩნევს და განმარტავს, რომ საკითხის განხილვა გუნდში ჯერ არ დაწყებულა.

ძალიან კარგი იქნება, თუ „ნაციონალური მოძრაობა“ კონსტრუქციულ ოპონირებას მოახერხებს. ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ ტრადიციულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მისივე თქმით, „ნაციონალურ მოძრაობას“, როგორც ოპოზიციურ ძალას კონსტრუქციულობისკენ მოუწოდებენ, თუმცა, ისინი ამას ვერ ახერხებენ.

„დღეს როგორი ოპოზიციაც გვყავს „ნაციონალური მოძრაობის“ სახით, ასეთია ჩვენი ბედი, როგორც ჩანს. ესენი ვერ ახერხებენ კონსტრუქციულობას და, როგორც ჩანს, ვერც მოახერხებენ, მაგრამ დღეს ოპოზიციად არიან დაფიქსირებულები და ჩვენ პატივი უნდა ვცეთ ჩვენს ქვეყანას. როგორებიც არიან, ისეთები არიან და მივიღებთ ისეთებს, როგორებიც არიან. ასეთი ოპოზიციის პირობებში კოალიცია იქნება მდგრადი და შეინარჩუნებს ერთიანობას“, – განაცხადა ივანიშვილმა.

კითხვაზე, ხომ არ შეიძლება ჩამოყალიბდეს ძლიერ ოპოზიციურ ძალად მომავალში ირაკლი ალასანიას გუნდი, ივანიშვილმა განაცხადა, რომ მსგავსი პროცესი არ იგეგმება.

„თუმცა, კოალიციის ნებისმიერ პარტიას აქვს უფლება, გამოვიდეს კოალიციიდან და ნებისმიერი ნიში დაიკავოს, რომელიც მას მოეწონება. დღეს კი ასეთი რამე არ იგეგმება“, – დასძინა ივანიშვილმა.

ჩემი ინიციატივით, ორი გვარი მივეცი კანცელარიას და ვერც ერთი ვერ მოაწყვეს, – ამის შესახებ ბიძინა ივანიშვილმა „ინტერპრესნიუსის“ კითხვაზე პასუხისას განაცხადა, რომელიც საჯარო სამსახურებში ახალი თანამშრომლების მიღების წესს ეხებოდა.

ივანიშვილმა აღნიშნა, რომ არ აქვს ამის შესახებ ზუსტი ინფორმაცია, თუმცა, ამას დააზუსტებს.

„საკადრო ცვლილებები ხდება და ეს ნორმალური პროცესია. მეც მაინტერესებს, რა მეთოდებით ხდება ადამიანების შერჩევა. ჩემი ინიციატივით, ორი გვარი მივეცი კანცელარიას და ვერც ერთი ვერ მოაწყვეს. როგორც ვიცი, ძალიან ბევრი წვალობს და აწყობენ. არ ვიცი, ნაცნობობით ხდება, ალბათ, ძირითადად და განცხადებებით“, – განაცხადა ივანიშვილმა.

მისი თქმით, მას ძალიან უყვარს ტენდერების და კონკურსის სისტემა და არაერთხელ უთქვამს მინისტრებისთვის, რომ საჯარო ტენდერები და კონკურსები ჩაატარონ.

„ირაკლი ღარიბაშვილი ასე აღმოვაჩინე რამდენიმე წლის წინათ, როდესაც სპეციალისტი მჭირდებოდა „ქართუში“ და ძალიან კმაყოფილი ვარ. არა მარტო ქართველებს, ფრანგებსაც უყვართ ნაცნობობით დანიშვნები, ამას თავისი პლუსიც აქვს, როდესაც იცნობ ადამიანს და იცი, რომ პროფესიონალია. თუმცა, თუ თქვენ მინიშნებას მიკეთებთ, რომ ეს პროცესები ჯანსაღად არ მიდის, დავინტერესდები, როგორ მიმდინარეობს“, – დასძინა ივანიშვილმა.

თებერვლიდან ბუნებრივი აირის ტარიფი 10%-ით შემცირდება. ბიძინა ივანიშვილის თქმით, მთავრობა ამ კუთხით მუშაობას კიდევ გააგრძელებს და იმედი გამოთქვა, რომ ტარიფის დაწევა კიდევ მოხერხდება.

„ალბათ, შეამჩნიეთ, რომ საქართველოში დაიწყო ფასების შემცირება. ელექტროენერგიის ფასი 21%-27%-ით შემცირდა, საწვავის 10%-ით. ასევე შეინიშნება ფარმაცევტული პროდუქციის 30-დან 70%-მდე შემცირების ტენდენცია. თუ ეს ასეა, იმის მაჩვენებელია, რომ ბიზნესმენებმა ყურად იღეს, რომ მონოპოლიური ფასები არ უნდა იყოს და თვითონ დაიწყეს ფასის დაკლება“, – დასძინა ივანიშვილმა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის განცხადებით, ფუძნდება სამი ტიპის ფონდი. პირველი ფონდი იქნება საქართველოს სუვერენული ფონდი და ამ პროცესში პარტნიორი იქნება ერთ-ერთი ყველაზე დიდი ბანკი, „ჯიპი მორგანი“, რომლის პრეზიდენტსაც ბიძინა ივანიშვილი დავოსში ვიზიტისას შეხვდა. პრემიერის განმარტებით, ეს კეთდება საპარტნიორო ფონდის ბაზაზე, რომელიც არ იყო ეფექტური და მას მიეცემა სწორი სახე.

პრემიერის ცნობით, მეორე ფონდია – საქართველოს ახალგაზრდული ფონდი, სადაც ახალგაზრდა მეცნიერებს და ბიზნესმენებს მიეცემათ საშუალება ფინანსები მიიღონ საკუთარი ინოვაციური პროექტების განსახორციელებლად.

რაც შეეხება მესამე ფონდს, ეს არის კერძო საინვესტიციო ფონდი.

„ეს იყო ჩემი ძველი იდეა, ახლა აღვადგინეთ და ვაარსებთ მათ, სადაც ყველა უცხოელს და არა მარტო უცხოელს, არამედ საქართველოს მოქალაქეებსაც, ვისაც გამართული პროექტი ექნება, ეს ფონდი მათთვის გამზადებული პარტნიორი გახდება. საინტერესო პროექტის შემთხვევაში ეს ფონდი 25%-დან 75%-მდე თანადაფინანსებას გაუწევს“, – განაცხადა ივანიშვილმა.

მისივე განმარტებით, თითოეული ფონდის ბიუჯეტი 2-2 მილიარდი ლარი იქნება.

ამასთან, ივანიშვილმა აღნიშნა, რომ ერთ-ერთ ფონდში მისი კაპიტალიც მოიაზრება, თუმცა, აღნიშნა, რომ ეს არ იქნება ისეთი ფორმით, რომ ვინმეს რაიმე კითხვა გაუჩნდეს. ივანიშვილს არ დაუკონკრეტებია საკუთარი კაპიტალის მოცულობა.

საქართველოს პრემიერის განცხადებით, ახალი მთავრობის მიერ გლეხებისთვის დასარიგებელი სასოფლო-სამეურნეო ბარათები წინა ხელისუფლების მიერ დარიგებული ვაუჩერებისგან აბსოლუტირად განსხვავებულია, პირველ რიგში კი განსხვავების მიზეზი თანხების რაოდენობაა.

ივანიშვილი აცხადებს, რომ უფასო ხვნა-თესვისთვის ამ ბარათით გლეხს 640-დან 700-ლარამდე გადაეცემა, წინა ხელისუფლების ვაუჩერებით კი, ბევრად ნაკლებ თანხას აძლევდა მოსახლეობას.

„იმისათვის, რომ ერთმანეთში არ აგრეოდათ, სახელიც კი შევუცვალეთ და ბარათი დავარქვით. სიტყვა ვაუჩერით თქვენ ამ ბარათის შინაარსს ვერ დააკნინებთ“,– ასე მიმართა პრემიერმა ჟურნალისტს, რომელმაც მას უთხრა, რომ წინა ხელისუფლებაც არიგებდა მსგავს ვაუჩერებს, მაგრამ ექსპერტების ნაწილი აცხადებდა, რომ ვაუჩერის დარიგებით სოფლის მეურნეობის პრობლემა არ გადაიჭრებოდა.

ჟურნალისტი დაინტერესდა, ამ ბარათების დარიგებით, ხომ არ უშვებს იმავე შეცდომას ახალი ხელისუფლება და ხომ არ ჯობდა ამ ბარათების დარიგების ნაცვლად, რამდენიმე ახალი საწარმო აშენებულიყო, რომელიც გრძელვადიან პერსპექტივაში დაეხმარებოდა სოფლის მეურნეობის დარგს.

ივანიშვილმა კი განაცხადა, რომ სოფლის მეურნეობის აღორძინებისთვის გამოყოფილ ფონდში საწარმოების აშენების გეგმაც შედის, ამიტომ ჟურნალისტის მითითება უადგილოა.

ამასთან, ივანიშვილი ამბობს, რომ ბარათებსა და ვაუჩერებში პრინციპული სხვაობაა და მათ ერთმანეთთან საერთო არაფერი აქვს.

„აქ განსხვავებული აზრია ჩადებული. ის, რომ სოფლის მეურნეობის დახმარება გაუბედურებს ეკონომიკას, ეს არის ლიბერტარიანული შეხედულება. ამათ უნდოდათ თქმა, რომ არავის უნდა დაეხმარო საერთოდ. მაშინ, როცა ყველა ნორმალური ქვეყანა ეხმარება სოფლის მეურნეობას და ეს ნორმალურია. დღეს ქართველ გლეხს დახმარება სჭირდება და ვინც ამბობს, რომ ეს არ არის საჭირო, მე მასთან პოლემიკაში არ შევალ“, – ამბობს ივანიშვილი.

„საქართველოს ყველა მოქალაქეს, მათ შორის ალასანიას ყველაფრის უფლება აქვს. თვითონ თუ მოუნდება, გუნდის ნებისმიერ წევრს შეუძლია ეს გააკეთოს, ოღონდ ფორმები დაიცვას სწორად. თუ კოალიციაშია, კოალიციას შეეკითხოს, თუ მის აზრს არ გაიზიარებს, გადის კოალიციიდან და აკეთებს, რისი სურვილიც აქვს. კოალიციაში ამის განხილვა არ დაგვიწყია, შესაბამისად, პასუხი არ გვაქვს, თუმცა, ჩემი პირადი გადმოსახედიდან, ალასანია ამ ეტალონს, რაზეც უკვე ვისაუბრე, ვერ ერგება, მაგრამ მე მარტო არ გადავწყვეტ ამ საკითხს, გარწმუნებთ“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

აურზაური სალხინეთში

დიდი აურზაურია „სალხინეთში“.

ისეთი აურზაური, სადაც „კონსერვატორი“ „თავისუფალ-დემოკრატს“ და „ნაცი მაჟორიტარი“ „ნაცპროპორციულ“ დეპუტატს ხელში არ აიყვანს.

არადა, ეს აურზაური ერთი ჩვეულებრივი საკონსტიტუციო ცვლილების შეტანის სურვილმა გამოიწვია. „ჩვეულებრივი“ იმიტომ დავწერე, რომ წინა ხელისუფლების ხელში ისე მივეჩვიეთ კონსტიტუციის „ჭრა-კერვას“, რომ მოსახლეობის უმრავლესობისთვის ნებისმიერი კანონპროექტი, თუ საკონსტიტუციო ცვლილება აბსოლუტურად ჩვეულებრივი და თქვენ წარმოიდგინეთ უინტერესო მოვლენა გახდა (ბოლო ცხრა წლის განმავლობაში ქვეყნის უმთავრესი კანონი ოცდახუთჯერ შეიცვალა, ანუ წელიწადში თითქმის სამჯერ).

სამაგიეროდ, „სალხინეთში“ დგას მოუსვენარი დღეები. მიდის თვლა, ანგარიში და ხმამაღალი თუ ხმადაბალი განცხადებების კეთება.

საკითხი კი ასე დგას: უნდა ჩამოერთვას თუ არა პრეზიდენტს ხალხის და პარლამენტის თანხმობის გარეშე მთავრობის შეცვლის უფლება.

პრეზიდენტს ეს უფლება 2004 წელს მაშინდელმა პარლამენტმა მიანიჭა და თქვენ წარმოიდგინეთ, მას ამ უფლებით არასოდეს უსარგებლია.

პრინციპში რატომ უნდა ესარგებლა? არ მოეწონებოდა რომელიმე მინისტრის, ან თუნდაც პრემიერ-მინისტრის რაიმე ქმედება და საფერფლე იქვე არ ჰქონდა? მოეწონებოდა და დაატრიალებდა სამთავრობო კარუსელს.

მოკლედ რომ ვთქვა, მაშინ არც პრეზიდენტს, არც მთავრობას და არც პარლამენტს არაფერში არ სჭირდებოდა ამ მუხლის გამოყენება.

რა ხდება დღეს?

თქვენ წარმოიდგინეთ და პრეზიდენტის მიერ ამ უფლების გამოყენება ყველაზე მეტად საპარლამენტო უმრავლესობას აწყობს.

დიახ, ნუ გიკვირთ. სწორედაც რომ საპარლამენტო უმრავლესობას.

აწყობს თუნდაც იმ უმარტივესი მიზეზის გამო, რომ თუ ხალხი ამ ე.წ. პრეზიდენტს და მის გუნდს არ „გადაუვლის“ და ქვეყანა საპარლამენტო არჩევნებამდე „მშვიდად“ მივა, არჩევნების შემდეგ საკანონმდებლო ორგანოში დღევანდელი უმცირესობის ნასახიც არ დარჩება (აღარაფერს ვამბობ იმ სიკეთეებზე, რაც რიგითი მოქალაქეებისთვის წინა საარჩევნო პერიოდს მოაქვს).

ვერ გეტყვით, განხილულა თუ არა ამ კუთხით ეს საკონსტიტუციო ცვლილება ან უმრავლესობაში, ან უმცირესობაში. ვერ გეტყვით, უმსჯელია თუ არა ამ ფორმით უამრავ „ექსპერტსა“, თუ „პოლიტოლოგს“, მაგრამ ფაქტი საშინლად ჯიუტია და იმ შედეგს, რომელიც მიხეილ სააკაშვილის მიერ კონსტიტუციით მინიჭებული უფლების გამოყენების შემდეგ დადგება, ყოველგვარი ნავაროებისა და მისი ჯურის არასამთავრობოების „კვლევების“ გარეშეც ვხედავთ.

არადა, ამ გაგანია დემოკრატიისა და კოჰაბიტაციის ფონზე, ამ საკითხის განხილვას მაინცდამაინც დიდი აჟიოტაჟი არ უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ ჩვენი „კანონმდებლების“ ამბავი ხომ იცით? ხომ უნდა დაგვანახონ, რომ ქვეყნისა და მოსახლეობისთვის იღვწიან, ხომ უნდა დაგვანახონ, რომ იმ 320-მილიონიან შენობაში აზრთა გამწარებული ჭიდილია?

ჰოოოდა, „ქართული ოცნების“ კოალიციის ლიდერებმა, თავიანთ ცენტრალურ ოფისში საგანგებო მიმართვა გაავრცელეს. მიმართვას დავით საგანელიძე, ზაქარია ქუცნაშვილი, დავით ბერძენიშვილი, ირაკლი ჩიქოვანი და გიგა ბუკია აწერენ ხელს.

„წლების განმავლობაში სააკაშვილის ზურგს უკან მიმალულ ადამიანებს, რომლებიც პერსონალურად არასდროს არაფერზე აგებდნენ პასუხს, მოუწევთ საკუთარი აზრის მკაფიოდ დაფიქსირება კონკრეტულ საკითხზე, უნდა ჩამოერთვას თუ არა პრეზიდენტს ხალხის და პარლამენტის თანხმობის გარეშე მთავრობის შეცვლის უფლება. ამ საკითხზე არჩევანის გაკეთებისას ვერავინ ვერავის ზურგს ამოეფარება და ვერც დემაგოგიური ხრიკებით შეძლებს სხვა თემით მის გადაფარვას. პარლამენტის წევრებმა, რომლებიც თავს იწონებენ ხალხის რჩეულის სტატუსით, თვალი უნდა გაუსწორონ საზოგადოებას და საკუთარ შვილებს და განაცხადონ, „კი“ თუ „არა“. ეს არის მორიგი პოლიტიკური საკითხი, რომელზეც მსოფლმხედველობიდან გამომდინარე, შეიძლება ორი მეტ-ნაკლებად სწორი პასუხი არსებობდეს. ეს არის ფუნდამენტური საკითხი იმის გასარკვევად, თუ სინამდვილეში რას ემსახურება თითოეული მათგანი, ხალხს თუ დიქტატორს.

...ვინც თავს აარიდებს პარლამენტში ინიცირებულ საკონსტიტუციო ცვლილებებისთვის ხმის მიცემას, იგი აკეთებს არჩევანს ერთი კაცის ახირების სასარგებლოდ, ქართული სახელმწიფოს საწინააღმდეგოდ და აცხადებს, რომ სახელმწიფო — ეს საკაშვილია“, — ნათქვამია განცხადებაში.

ბუნებრივია „ვალში“ არც უმცირესობა დარჩა და დავით საგანელიძეს განცხადების კითხვა ბოლომდე არ ჰქონდა დამთავრებული, რომ „კურიერის“ პირდაპირ ეთერში გამძვინვარებული ვეფხვივით შეიჭრა ნაცმოძის გენერალური მდივანი ვანო მერაბიშვილი.

„მე მინდა გავაფრთხილო განსაკუთრებით ბიძინა ივანიშვილი, რომ თუ პარლამენტმა შეაგროვა საკონსტიტუციო უმრავლესობა, ეს ნიშნავს, რომ ბიძინა ივანიშვილმა გამოიყენა საკუთარი თანამდებობა ბოროტად და ძალისმიერი მეთოდებით დააშანტაჟა პარლამენტის წევრები. ეს არის ძალაუფლების გადამეტება და ასეთი ქმედება არის დასჯადი“, — დაიქუხა ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა.

ეს რა გაიგონა ჩემმა ყურებმა!..

რომელი კანონით და კონსტიტუციით, ბატონო ვანო? უკვე შეიტანეს ცვლილებები, თუ ძალაუფლების გადამეტება დასჯადი პირველ ოქტომბრამდეც იყო?

მე შეგახსენოთ თქვენს მიერ ძალაუფლების გადამეტების მაგალითები, თუ თქვენც იცით?

მე მგონი, არ ღირს, რადგანაც მეშინია რომელიმე არ გამომრჩეს და არ გამინაწყენდეთ. ამიტომ აღარ ჩამოვთვლი.

ცხადია, პარტიულ ლიდერს არც „რიგითი“ წევრები ჩამორჩნენ და მათაც „შესაბამისი“ განცხადებები „გამოაცხვეს“.

როგორც გოკა გაბაშვილმა განაცხადა, **„უმრავლესობამ საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვა კვერცხების სროლის, აქტივისტების მობილიზების და დაპირისპირების ფონზე გადაწყვიტა“** (ამ ფრაზის მოსმენის შემდეგ „კარალეთის დღეები“ და ნაცმოძის მობილიზებული აქტივისტების ნასროლი ქვები გამახსენდა რატომღაც). გაბაშვილი მხოლოდ ამ მცირე განმარტებით არ შემოიფარგლა და დავით საგანელიძესაც გადასწვდა: **„საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი დავით საგანელიძე დღეს პანიკაშია, რადგან ვერ შეასრულა დავალება. მან, პროკურატურასთან, ფინანსურ პოლიციასთან და სხვა მექანიზმებთან ერთად, ვერ შეუგროვა ივანიშვილს ის უმრავლესობა, რომელზედაც ივანიშვილი ასე თამამად საუბრობდა და ამბობდა, რომ 120 დეპუტატი უკვე ჯიბეში ჰყავს. მინდა ვუთხრა, რომ კენჭისყრები არის ზეგ და ისინი ნახავენ, რომ თავის მიზნებს ვერ მიაღწიეს“.**

ბატონო გოკა, რადგანაც ამ წერილში, ასე ვთქვათ, მცირე „მოგონებების საღამო“ გამოვიდა, თქვენც შეგახსენებთ მარიკა ვერულაშვილს, რომელიც საკუთარ ამომრჩეველს აშინებდა ამბით, თუ როგორ ნახა ექვსი რუსი ჯარისკაცი, რომლებიც 106 წლის ქალს აუპატიურებდნენ.

თქვენი ხელისუფლების მიერ დაშინების მაგალითების გასახსენებლად, ეს ტრაგიკომიკური მაგალითიც საკმარისია (ყვარლის მაჟორიტარი დეპუტატის ეს გამოსვლა არა მხოლოდ ყოფილი ხელისუფლების უზნეობას გვაჩვენებს, მათი გონებრივი მონაცემების შეფასების შესანიშნავი ტესტიცაა).

სამაგიეროდ, საპარლამენტო უმცირესობის ლიდერი დავით ბაქრაძე უფრო „საქმიანი“ აღმოჩნდა და უმრავლესობის მიერ შეთავაზებულ საკონსტიტუციო ცვლილებებისთვის მხარდაჭერის სანაცვლოდ, ორი პირობა დააყენა.

მისი განცხადებით, **უმცირესობა ცვლილებას მხარს მხოლოდ მაშინ დაუჭერს, თუ საკონსტიტუციო ცვლილებების პაკეტში აისახება მათი ინიციატივა, საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსის ურყეობის (ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიმართულებით) შესახებ.**

გარდა ამისა, უმცირესობა მოითხოვს კონსტიტუციის იმ მუხლის ამოქმედებას, რომელიც ეხება საკონსტიტუციო კვორუმის 3/4-მდე გაზრდას. აღნიშნული პუნქტი 2013 წლის ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ უნდა ამოქმედდეს, თუმცა, უმცირესობა მოითხოვს, რომ „ოპოზიციაზე ზეწოლის თავიდან აცილების მიზნით“, ეს ნორმა დაუყოვნებლივ ამოქმედდეს.

დავით ბაქრაძის ამ განცხადებაზე ყველასათვის ცნობილი და საყვარელი ფილმებიდან ორი ფრაგმენტი გამახსენდა. პირველი ფრაგმენტი ძველი, ნამდვილი „ქეთო და კოტედან“, როდესაც თავადი ლევანი მაკარს ეუბნება „იყიდე, გაყიდე რა ქარვასლაა!“ და მეორე ასევე ყველასთვის საყვარელი „ოქროს ხბოდან“, სადაც ოსტაპ ბენდერი მოკლედ მოჭრის „Я пологаю что торг здесь не уместен!“

მოკლედ რომ ვთქვა, ისეთი „აურზაურია სალხინეთში“ ატეხილი, რომ ვერც უცხოეთი დარჩა გულგრილი და ამ რია-რიასთან დაკავშირებით კომენტარი საქართველოში აშშ-ს ელჩმა რიჩარდ ნორლანდმაც გააკეთა.

„მნიშვნელოვანია, რომ მთავრობას ჰქონდეს საშუალება მართოს ქვეყანა, რადგან საზოგადოება ელის შედეგს და ვითარების გაუმჯობესებას, და მნიშვნელოვანია, რომ ოპოზიცია პასუხისმგებლობით მოეკიდოს მთავრობის კრიტიკას და ის თვითმიზნად არ აქციოს“. რიჩარდ ნორლანდმა უაღრესად მნიშვნელოვანი უწოდა მთავრობისა და ოპოზიციის ეფექტიან თანაარსებობასაც და აღნიშნა, რომ ამ პროცესს კვლავ ყურადღებით აკვირდებიან. მისივე განცხადებით, **მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებაც, რომ 100 დღე მეტისმეტად მცირე დროა ნებისმიერი მთავრობისთვის და რა დასკვნაც უნდა გაკეთდეს ამ პერიოდის საქმიანობის შესახებ, ეს წინასწარი შეფასება და დასკვნა იქნება. ყველაზე საინტერესოა, როგორ აფასებს საქართველოს მთავრობის საქმიანობას თავად ხალხი და ჩვენ მოსაზრებას სწორედ ამის შემდეგ მოგახსენებთო,** — განაცხადა რიჩარდ ნორლანდმა.

ხალხის მოსაზრებას კი სოციალურ ქსელ ფეისბუქზე გავრცელებული ორი სტატუსით გაგაცნობთ:

„მათ საყურადღებოდ, ვინც 4 წელი მოცდას არ აპირებს და გააქტიურებას გეგმავს: გლდანის მე-8 დაწესებულება: — ვაკანტურია 1219 ადგილი, აქედან 1 ლუქსი და 2 ნახევრადლუქსი; რუსთავის მე-16 დაწესებულება: ვაკანტურია 734 ადგილი. ლუქსები არაა. რუსთავის მე-17 დაწესებულება: ვაკანტურია 67 ადგილი (ლუქსი არაა, სამაგიეროდ, რეჟიმია იმისთანა - წონაში დასაკლები) ქსნის მე-15 დაწესებულება — 389 ადგილი (2 ნახევრადლუქსი, კარგი ხედებით), თბილისის მე-7 დაწესებულება — 36 ადგილი, კარგი კვებით. ადგილების დაჯავშნა ვებგვერდზე cixebooking.ge“.

„ორივე მხარე, უმრავლესობაც და უმცირესობაც იქადნება ჩვენსას გავიტანთო. კონსტიტუციის ხელყოფას არავის შევარჩენთო. არადა, გაზი ისევ ძვირია, დენზე და ნაგავზე რომ არ ვილაპარაკო“.

ამ წერილსაც ასე დავამთავრებ და თქვენთან ერთად დაველოდები, თუ როგორ დამთავრდება „სალხინეთში ატეხილი აურზაური“.

გია გაბრიჭიძე

◎ ალიან-ჩალიანი

დეპუტატები საკუთარ კაბინეტებში დაიკითხებიან

მთავარი პროკურორი არჩილ კბილაშვილი არ გამორიცხავს, რომ დედაქალაქის მერის მსგავსად, დეპუტატებიც საკუთარ კაბინეტებში დაიკითხონ. როგორც კბილაშვილმა ჟურნალისტებთან გუშინდელ შეხვედრაზე განაცხადა, გადაწყვეტილება მიზანშეწონილობის მიხედვით იქნება მიღებული.

— ქალაქის მერი დაკითხულ იქნა კაბინეტში, ეს აიხსნებოდა შემდეგი საფუძვლით — როცა პროკურატურა პირს დაკითხვაზე იბარებს, ის კი საგამოძიებო უწყებაში არ ცხადდება, ეს ადამიანი მინიმუმ არ იქცევა სამართლებრივად, ამიტომ დგება საკითხი: რას უნდა მივანიჭოთ უპირატესობა, გამოძიების ინტერესს, თუ იგივე თავმოყვარეობას. უგულავას შემთხვევაში ჩავთვალეთ, რომ ორი სახელმწიფოებრივი ინტერესი იქნებოდა, დროულად მიგვეღო ჩვენება, რომელიც „თბილსერვისთან“ დაკავშირებული საქმის გამოძიებას სჭირდებოდა. სხვა შემთხვევაში მიდგომა იქნება ანალოგიური, — განაცხადა არჩილ კბილაშვილმა.

მისივე განმარტებით, აღნიშნული არ ნიშნავს, რომ საგამოძიებო უწყება უარს ამბობს იმ სამართლებრივ მექანიზმზე, რომელიც, შესაძლოა, პირის დაკითხვაზე გამოუცხადებლობას მოჰყვეს. — ჩვენ არ ვამბობთ უარს ამ მექანიზმზე, მაგრამ ამ ეტაპზე წინა ადგილზე წამოვწიეთ გამოძიების ინტერესი, — აღნიშნა კბილაშვილმა.

გიგი უგულავა და ვანო მერაბიშვილი შესაძლოა, კიდევ დაკითხონ

მთავარი პროკურორის არჩილ კბილაშვილის განცხადებით, თბილისის მერ გიგი უგულავას შესაძლოა, დაკითხვაზე დაბარება კიდევ სხვა საქმეებთან დაკავშირებითაც მოუწიოს.

— თემა, რომელზეც გიგი უგულავა იქნა დაკითხვაზე დაბარებული, არ არის ერთადერთი. შესაძლოა, კიდევ სხვა საქმეები იყოს მის მიმართ წამოწეული. მაგალითად, რიყის ტერიტორიის გასხვისების საკითხი და ესეც არ არის ბოლო, — აღნიშნა არჩილ კბილაშვილმა. ამასთან, მთავარი პროკურორის ინფორმაციით, ანალოგიური სიტუაციაა ყოფილ შს მინისტრ ვანო მერაბიშვილთან მიმართებაშიც.

— არსებობს სხვადასხვა საქმეები, რომელზეც პროკურატურაში გამოძიება მიმდინარეობს და რომელთა მიმართებაში მერაბიშვილის დაკითხვის აუცილებლობა დგას, მათ შორისაა გირგვლიანის საქმე, 26 მაისის მოვლენებთან დაკავშირებული გამოძიება და არა მხოლოდ ესენი, — აღნიშნა კბილაშვილმა. მთავარმა პროკურატურამ შესაძლოა, ფიქტიურად დასაქმებული ადამიანები „თბილსერვის ჯგუფის“ შემდეგ სოციალურ სააგენტოშიც გამოავლინოს, — ამის შესახებ მთავარმა პროკურორმა არჩილ კბილაშვილმა განაცხადა.

მისივე განმარტებით საქმე, რომლითაც ირკვევა, რომ ფიქტიური სამუშაოს სანაცვლოდ საზღაურს ათასობით ადამიანი იღებდა, სამსჯავროზე მალე გამოვა. — ეს საქმე მალე გამოვა სამსჯავროზე. საქმე ეხება მრავალათასიან ადამიანთა ჯგუფს, რომლებიც, შესაძლოა, საზღაურს იღებდნენ იგივე ფორმით, როგორც ეს ხდებოდა „თბილსერვის ჯგუფთან“ დაკავშირებით, — განაცხადა არჩილ კბილაშვილმა. მისივე განმარტებით, სოციალურ სააგენტოში ფიქტიურად დასაქმებული პირებიდან ათასამდე ადამიანი უკვე დაკითხულია.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

კიბო არ არის ფატალური დაავადება!

და მაინც, ავთვისებიანი სიმსივნეებით ავადობის მაჩვენებლები განუხრელად იზრდება...

მეცნიერება მუდმივად ისწრაფვის, გახადოს ადამიანის სიცოცხლე ხანგრძლივი, მეტიც, ლამის მარადიული. ამის მიუხედავად, ახალ საუკუნეშიც დედამიწელებს თავზარს სცემს ვერაგი დაავადების – კიბოს დიაგნოზი, რომლის დამარცხება ჯერ ისევ სირთულეს წარმოადგენს, თუმცა, ექიმები არ ნებდებიან... რა არის კიბო? რა ვიცით მის შესახებ? მედიკოსებმა ამ დაავადებას სპეციალური დღეც კი მიუძღვნეს – 4 თებერვალი, რომელსაც ყოველწლიურად საქართველოშიც აღნიშნავენ. ამჯერადაც ეს დღე სასტუმრო „რედისონში“ სამეცნიერო კონფერენციით აღინიშნა.

აღმოჩნდა, რომ სტატისტიკური მონაცემებით, ონკოლოგიურმა დაავადებებმა უკანასკნელ წლებში საგრძნობლად იმატა. ეს პრობლემა არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში აქტუალურია. მკურნალობის არაერთი თანამედროვე მეთოდის შემუშავების მიუხედავად, დაავადება მსოფლიო მასშტაბით გავრცელების საშიშ ტენდენციას ავლენს. საქართველოში ავთვისებიანი სიმსივნეების გავრცელების, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის თანამედროვე მეთოდების, ონკოლოგიის ნაციონალურ ცენტრში შექმნილი მდგომარეობისა და მიმდინარე სიახლეების შესახებ სასაუბროდ ვეწვიეთ ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის გენერალურ დირექტორს, პროფესორ რეზო გაგუას. მასთან ერთად ჩავწერეთ დირექტორის მოადგილე კიბოს კონტროლის დარგში – ქ-ნი მაკა მაღლაკელიძე, რადიაციული ონკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი - ქ-ნი ნინო გორგაძე და ონკოცენტრის უცხოელი ინვესტორები.

(მარცხნიდან მარჯვნივ): ნინო გორგაძე, რეზო გაგუა, მაკა მაღლაკელიძე და უცხოელი ინვესტორები.

– ბატონო რეზო, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის პროგნოზი ონკოლოგიური დაავადებების შესახებ საკმაოდ საგანგაშოა, რას გვეტყვით ამასთან დაკავშირებით?

– ავადობის სიხშირისა და გავრცელების მიხედვით ონკოლოგიურ დაავადებებს ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია ჩვენი მოსახლეობის ავადობის, ინვალიდობისა და სიკვდილიანობის სტრუქტურაში. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, მსოფლიოში ყოველწლიურად 12 მილიონი კიბოს ახალი შემთხვევა რეგისტრირდება. 2020 წლისათვის კიბოს შემთხვევების რაოდენობა მსოფლიო მასშტაბით 20 მილიონამდე გაიზრდება, გაუსწრებს გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადებებს და პირველ ადგილს დაიკავებს დედამიწის მოსახლეობის ავადობისა და სიკვდილიანობის სტრუქტურაში. ამასთან, თუ განვითარებულ ქვეყნებში პროფილაქტიკის მაღალი დონის, ადრეული დიაგნოსტიკისა და მკურნალობის გაუმჯობესების ფონზე აღინიშნება სიმსივნის ზრდის ტემპის შენელების ტენდენცია, უახლოეს ათწლეულებში ონკოლოგიური ავადობის მატების მთელი ტვირთი განვითარებად ქვეყნებზე გადავა, რომელთა რიცხვსაც განეკუთვნება საქართველო.

– რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში?

– რაც შეეხება საქართველოს, ავთვისებიანი სიმსივნეებით ავადობის მაჩვენებლები საქართველოში განუხრელად იზრდება. ონკოლოგიური დაავადებები გამოსავლის მიხედვით მძიმე პათოლოგიათა რიცხვს მიეკუთვნება. დღეისათვის საქართველოში აღრიცხვაზეა 33.000-ზე მეტი ონკოლოგიური ავადმყოფი. ყოველწლიურად ავთვისებიანი სიმსივნეებით დაავადების 7 ათასამდე ახალი შემთხვევა ვლინდება, აქედან 4 ათასამდე ადამიანი პირველსავე წელს იღუპება. სავალალოა ის გარემოება, რომ 70-75% დაავადების მე-3 და მე-4 სტადიაში ვლინდება. ეს ის მაჩვენებელია, როდესაც კიბოს მკურნალობის ეფექტურობა დაბალია. აქედან გამომდინარე, კიბოს ადრეული დიაგნოსტიკისათვის აუცილებელია მთელი რიგი ღონისძიებების გატარება.

– და რა არის გამოსავალი, ნუთუ არ არსებობს კიბოს თავიდან აცილების რაიმე ღონისძიებები?

– სწორედ ამ საკითხებს ემსახურება ე.წ. „კიბოს საწინააღმდეგო ბრძოლა“, რომელიც მოიცავს კიბოს პრევენციისა და ადრეული დიაგნოსტიკის მთელ რიგ ღონისძიებებს: ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდას, კიბოს შესახებ მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდებას, სკრინინგის პოპულარიზაციას და ა.შ. სწორედ ამ საკითხებზე გვქონდა საუბარი 4 თებერვალს – კიბოსთან ბრძოლის საერთაშორისო დღეს.

მაკა მაღლაკელიძე: – 4 თებერვალი კიბოს წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღეა, რომელიც ფართოდ აღინიშნება მთელს მსოფლიოში. ამ ყოველწლიური საერთაშორისო ფორუმის ინიციატორია კიბოს წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო სააგენტო (International Union Against Cancer, UICC), რომელიც ხორციელდება ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მხარდაჭერით და მიზნად ისახავს მსოფლიოს მოსახლეობოსთვის ინფორმაციის მიწოდებას ავთვისებიანი სიმსივნეების შესახებ. ამ დღის ძირითადი მიზანი იყო – საზოგადოების ყურადღების მიპყრობა ამ გლობალური პრობლემისადმი, რომ კიბო არ არის ფატალური დაავადება და რომ პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარებით შესაძლებელია შემთხვევათა 40%-ის თავიდან აცილება, ხოლო დროული და სწორი მკურნალობით დაავადებულთა დიდ ნაწილს სრული განკურნების შანსი ეძლევათ.

2013 წლის კამპანია ემსახურება ავთვისებიანი სიმსივნეების შესახებ მითებისა და სტერეოტიპების მსხვრევას, რომელიც წარიმართა ლოზუნგით: **„კიბო. რა იცით ამის შესახებ?“** ეს დღე უკვე ტრადიციად იქცა საქართველოს ონკოლოგებისთვის (და არა მარტო ონკოლოგებისთვის). განსაკუთრებული მადლობა გვინდა გადავუხადოთ ჯანდაცვის სამინისტროსა და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელობას, რომელთა ძალისხმევითაც წლევანდელმა ღონისძიებამ ასეთი ფართომასშტაბიანი ხასიათი მიიღო. წლევანდელი ფორუმის ინიციატორები არიან: ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრი, კიბოს კვლევის ცენტრი, მარტინ დ.აბელოფის ლაბორატორია, მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრი, საუნივერსიტეტო კლინიკა და კლინიკური მედიცინის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი.

– ბატონო რეზო, ხალხში დადის ხმა, თითქოს ონკოცენტრი დაიხურაო. თუმცა, ვხედავ, რომ ასე არ არის, სინამდვილეში, რა ხდება?

– ჩვენს ცენტრს არც ერთი წუთით არ შეუწყვეტია ფუნქციონირება. ონკოცენტრს ყოველწლიურად 30000-მდე პაციენტი მომართავს, ეს არის ერთ-ერთი ის დაწესებულება, სადაც გამოიყენება მკურნალობის სამივე მეთოდი (ქირურგია, რადიოთერაპია და ქიმიოთერაპია), რომლებიც აღიარებულია მთელს მსოფლიოში. ცენტრში დაკავებულია 450-მდე თანამშრომელი, მუშაობს პოლიკლინიკა თავისი სადიაგნოსტიკო სამსახურებით და ყველა კლინიკური განყოფილება, რომლებიც ადრე არსებობდა. სამწუხაროდ, ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (მხედველობაში მაქვს სადიაგნოსტიკო-სამკურნალო აპარატურა, ახალი ტექნოლოგიები) აღარ აკმაყოფილებდა თანამედროვე მოთხოვნებს, ამიტომაც დადგა ცენტრის პრივატიზების საკითხი და დღეს ონკოცენტრის შენობის, მიწისა და აღჭურვილობის მესაკუთრე გახლავთ კანადური კომპანია „Pegasus Pharmaceuticals Inc.“, რომელსაც ვალდებულება აქვს აღებული, ონკოცენტრის რეაბილიტაციისათვის ინვესტიციის სახით ჩადოს 20 მილიონი ამერიკული დოლარი. PPG 2006 წლიდან თანამშრომლობს საქართველოსთან, ჩვენს ონკოლოგიურ ცენტრთან, სადაც ხდებოდა მათ მიერ წარმოებული პრეპარატების კლინიკური შესწავლა, რაც ხორციელდებოდა ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მუდმივი მონიტორინგით. ამიტომ, როგორც კი ქვეყანამ განაცხადა სამედიცინო სექტორის პრივატიზების შესახებ, მათ გადაწყვიტეს ინვესტიცია სწორედ ონკოლოგიაში ჩაედოთ. როგორც მეპატრონეები გვარწმუნებენ, ისინი გეგმავენ დიდი სიმძლავრის ონკოლოგიური ცენტრის ჩამოყალიბებას, რომელიც წამყვანი იქნება არა მარტო ამიერკავკასიის რეგიონში, არამედ ექნება საერთაშორისო დატვირთვაც.

– ქალბატონო, ნინო, თქვენ რას გვეტყვით ამ კუთხით, როგორც სპეციალისტი?

ნინო გორგაძე: – ულტრათანამედროვე კომპიუტერული სისტემა და სამედიცინო აპარატურა მკურნალობის ეფექტურობას მნიშვნელოვნად ზრდის. რადიაციული თერაპიით მკურნალობა სხვადასხვა ონკოლოგიურ დაავადებებს მოიცავს. ინვესტორები გვპირდებიან, რომ ჩვენს ცენტრში რადიაციული თერაპიის უმაღლესი ნიშნული იქნება მიღწეული. იმედი გვაქვს, რომ ყოველივე ეს ხელს შეუწყობს საქართველოში მედიცინის ახალი დარგის განვითარებას და მედპერსონალის მაღალ დონეზე გადამზადებას. აქ იქნება არა მარტო უკვე რუტინულად ქცეული მაღალი ტექნოლოგიები, როგორიცაა კომპიუტერული ტომოგრაფია, მაგნიტურ-ბირთვული რეზონანსი, 3-განზომილებიანი და დიგიტალური აპარატურა, არამედ დაწესებულება აღჭურვება პოზიტრონულ-ემისიური ტომოგრაფით, ხაზოვანი ამაჩქარებლითა და ტომო-რადიოლოგიური აპარატურით, რომელიც ფუფუნების საგანია ბევრი განვითარებული ქვეყნისთვისაც კი.

– ხომ არ დადგება ცენტრის სამედიცინო პროფილის შეცვლის საკითხი?

– რა თქმა უნდა, არა, მაგრამ უმჯობესია ამ შეკითხვას კომპანიის წარმომდგენლებმა უპასუხონ.

– დაწესებულებას არ შეეცვლება პროფილი, – **ადასტურებს როლანდ კაო, კომპანიის ვიცე-პრეზიდენტი,** – ჩვენ ვგეგმავთ მძლავრი საერთაშორისო ონკოლოგიური ცენტრის შექმნას, რომელიც წამყვანი იქნება ამიერკავკასიის რეგიონში და მოემსახურება როგორც ქართველ, ასევე უცხოელ პაციენტებს. აქ იმუშავებს დიაგნოსტიკის, მკურნალობის, რეაბილიტაციისა და პრევენციის ცენტრები. დავასაქმებთ როგორც ქართველ, ასევე უცხოელ უმაღლესი კვალიფიკაციის სამედიცინო პერსონალს. PPG-ს გამიზნული აქვს საერთაშორისო, უმაღლესი კლასის, 200-საწოლიანი, საერთაშორისო სტანდარტის საავადმყოფოს აშენება, რომელსაც შეეძლება ყოველწლიურად 100 ათასი პაციენტის ამბულატორიული მომსახურება, წლიურად 5000 ავადმყოფის სტაციონარული მიღება და ყოველწლიურად 2000-ზე მეტი ქირურგიული ოპერაციის ჩატარება.

– ცენტრს შეეძლება ონკოლოგიურ სფეროში სრულმასშტაბიანი სერვისის ჩატარება, მათ შორის რადიაციული, ქირურგიული, მედიკამენტური, ინტერვენციული თერაპია, ბირთვული მედიცინა, ბიოლოგიური თერაპია და ა.შ. იქნება 6 კლინიკური ონკოლოგიური სამკურნალო-სადიაგნოსტიკო და კვლევითი ცენტრი. 13 კლინიკური დეპარტამენტი უზრუნველყოფს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ონკოლოგიური პროფილის მკურნალობის ჩატარებას, ამასთანავე წარმოდგენილი იქნება კარდიოვასკულური, მეტაბოლური, გერონტოლოგიური, იმუნური სისტემის, ესთეტიკური თერაპიის დეპარტამენტები და სხვა. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს არა მარტო ონკოლოგიური სერვისის, არამედ სამედიცინო ბიზნესისა და ტურიზმის განვითარებასაც საქართველოში.

– რა სიტუაციაა დღეს სარემონტო სამუშაოებთან დაკავშირებით? – კითხვაზე PPG საქართველოს ფილიალის დირექტორი – იუ ლი გვიპასუხებს:

– ონკოცენტრის შენობა, რომელიც მოიცავს 48000 კვ.მ-ს, დაყოფილია რამდენიმე (ა, ბ, ც, დ) ბლოკად. ა, ბ და დ კორპუსში შენობა დაყვანილია მზიდ კონსტრუქციებამდე, თითქმის მთლიანად შემინულია და იწყება შიდა სარემონტო სამუშაოები. მიმდინარეობს ინტენსიური მოლაპარაკებები მსოფლიოს სხვადასხვა წამყვან კომპანიებთან ახალი ტექნოლოგიების შეძენასთან დაკავშირებით. ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ჩვენსა და ეკონომიკის სამინისტროს შორის დადებული ხელშეკრულების პირობები შევასრულოთ. ჩვენ ვისწრაფვით იქითკენ, რათა გადავაქციოთ ეს სამედიცინო დაწესებულება კიბოს დიაგნოსტიკურ და სამკურნალო თანამედროვე ცენტრად.

– თქვენი აზრით, როდის დამთავრდება სარეკონსტრუქციო სამუშაოები, როდის აღიჭურვება ცენტრი თანამედროვე აპარატურით?

– კონტრაქტის პირობებით, სარემონტო სამუშაოები მაისის ბოლოს უნდა დასრულდეს, თუმცა, საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა ადგილობრივი სიტუაციის შესწავლას, ამორტიზებული შენობის გათავისუფლებას და საპროექტო სამუშაოების წარმოებას. მიუხედავად ამისა, ონკოლოგიურ პაციენტთა მიღება და მკურნალობა არც ერთი წუთით არ შეჩერებულა და ჩვენმა კომპანიამ ჩვენს კუთვნილ ტერიტორიაზე მაქსიმალურად შეუწყო ხელი შპს „ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის“ ჩამოყალიბებას. მომზადებისა და განხორციელების პროცესში, PPG-მ მოიწვია კანადის, აშშ და ჩინეთის ექსპერტები, რომლებმაც უკვე დაასრულეს ცენტრის სარემონტო გეგმა. ჩვენმა კომპანიამ უზარმაზარი ძალისხმევით შეძლო, მოეძებნა ყველაზე საუკეთესო სამშენებლო კომპანია, ამასთან, ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს სარემონტო სამუშაოებში მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული ადგილობრივი სამშენებლო კომპანიები და მუშახელი. თუ საჭირო გახდება კონტრაქტში გარკვეული ცვლილებების შეტანა (მხედველობაში გვაქვს სარეაბილიტაციო სამუშაოების დამთავრების გადავადება), აუცილებლობად მივმართავთ შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებს. ვფიქრობთ, ეს ორივე მხარის ინტერესებშია – ერთის მხრივ, ჩვენ მოგვეცემა შესაძლებლობა განვავითაროთ ბიზნესი, ხოლო მეორეს მხრივ, ქვეყანას ექნება რეგიონში საუკეთესო ონკოცენტრი.

– დაასაქმებთ კი ყველა თანამშრომელს ახალ კლინიკაში?

– ვფიქრობ, ახალი ცენტრის ამოქმედებას ასთობით ადამიანის დასაქმება მოჰყვება, რაც დაკავშირებულია ცენტრის საქმიანობის გაფართოებასთან და ახალი ტექნოლოგიების შემოტანასთან. ჩვენ დიდი გამოწვევის წინაშე ვდგავართ და ამიტომ უფრო აქტიურად და ენერგიულად ვაგრძელებთ მუშაობას. ამასთან, ექიმებს და მმართველ გუნდს მივცემთ საშუალებას, გაიარონ გადამზადება და აიმაღლონ კვალიფიკაცია მსოფლიოს წამყვან სამედიცინო ცენტრებში.

– უახლესი აპარატურა, მაღალკვალიფიციური ექიმები – ეს ყველაფერი ხომ არ გააძვირებს სამედიცინო მომსახურებას?

– მივყვებით საქართველოს სტანდარტებს და ჩვენით ფასებს არ გავზრდით. ონკოლოგიური ცენტრი საერთაშორისო გახდება, გვეყოლება ბევრი უცხოელი პაციენტი, რომელთათვისაც უფრო მაღალი ტარიფები დამტკიცდება. პერსონალს ექნება საქართველოში არსებულ ხელფასებთან შეფარდებული ანაზღაურება, რომელიც მათი კვალიფიკაციის ზრდასთან ერთად მოიმატებს. გპირდებით, რომ ახალი ცენტრი ფოკუსირებული იქნება ქართველი ხალხისთვის კიბოს ყველაზე თანამედროვე მკურნალობის უზრუნველყობაზე.

– მადლობა საინტერესო საუბრისთვის, წარმატებებს გისურვებთ!

ესაუბრა
თეა მოსია

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დემოკრატია და სამოქალაქო საზოგადოების პრობლემა



დემოკრატია, ანუ ხალხის ძალაუფლება ხალხის მიერ მისი ნების შემსრულებელი ხელისუფლების არჩევით იწყება, მაგრამ პრობლემა ის არის, რომ ხალხს ხშირად არ ჰყოფნის პოლიტიკური განათლება, რომ ისეთი ხელისუფლება აირჩიოს, რომელიც მის ნებას შეასრულებს, და ხელში რჩება უზურპატორი. ასე ეცლება შინაარსი „ხალხის ძალაუფლებას“ და „დემოკრატია“ ლიტონ სიტყვად იქცევა. მაგრამ როგორი გაუნათლებელიც არ უნდა იყოს ხალხი, იგია ხელისუფლების ლეგიტიმაციის ერთადერთი წყარო და, ამდენად, დემოკრატიას, როგორც მმართველობის ლეგიტიმურ ფორმას, ალტერნატივა არა აქვს.

ამას გულისხმობდა უინსტონ ჩერჩილიც, როდესაც ამბობდა: დემოკრატია მმართველობის საუკეთესო ფორმა არ არის, მაგრამ კაცობრიობას ჯერჯერობით უკეთესი არ გამოუგონიაო. ჩერჩილმა ეს ფრაზა განაწყენებულმა წამოიძახა, როდესაც ბრიტანელმა ხალხმა ომის დამთავრების შემდეგ მისი გამარჯვების ერთ-ერთი სულის ჩამდგმელი პრემიერ-მინისტრად აღარ აირჩია. მაგრამ მან, როგორც დიდ პიროვნებებს სჩვევიათ, განაწყენების მომენტშიც შეინარჩუნა ობიექტურობა და ხალხის უფლება და დემოკრატიის ლეგიტიმურობა ეჭვქვეშ არ დააყენა. ჩვენს ინტელექტუალებს კი, ეტყობა, დემოკრატიაზე უკეთესი რაღაც ეგულებათ (როგორც ჩვენს პოლიტიკოსებს – „მაპზე უკეთესი“!), რადგან აგდებულად ლაპარაკობენ დემოკრატიაზეც და ხალხზეც.

ფილოლოგიის დოქტორ გია მურღულიას აზრით, მაგალითად, ხალხი თურმე ნაწილობრივ სულელია (მთლიანად იტყოდა, მაგრამ მთელში თვითონაც შიგ მოყვებოდა, თუმცა, ვერ ხვდება, რომ, დემოკრატიის გაბიაბრუებით, თვითონაც შიგ ყვება) და დემოკრატიაც სულელების უფლება ყოფილა: „კაცმა რომ თქვას, რა არის დემოკრატია? ეს არის ნებისმიერი სულელის უფლება ნებისმიერი ჭკვიანის თანაბრად მიიღოს მონაწილეობა ქვეყნის მართვაში. ვინც საწინააღმდეგო აზრს მიემხრობა, დემოკრატიის არსს არ იცნობს ან აღიარებს, რომ ქვეყნად სულელები არ არსებობენ“.

ვინ სულელია და ვინ ჭკვიანი, მაგის გარჩევა შორს წაგვიყვანს. არსებობის უფლება კი სულელებსაც აქვთ, ხოლო რამდენადაც არსებობა შეცდომის დაშვებასაც გულისხმობს, – შეცდომის დაშვების უფლებაც. სისულელე სხვა არა არის რა, თუ არა შეცდომის დაშვება, შეცდომა კი ზოგჯერ ბრძენსაც მოსდის. ჰოდა, შეიძლება, რომ ამის გამო იგი სულელად გამოვაცხადოთ და წავართვათ არჩევანის უფლება?!

ცხოვრება საერთოდაც შეცდომების დაშვების ასპარეზია და იგი არა მარტო არ არსებობს უშეცდომოდ, არამედ უშეცდომოდ მას აზრიც არა აქვს. ფოიერბახი ამბობს: „ყველაზე დიდი შეცდომა, როეს, ცხადია, ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ცხოვრების აზრი შეცდომის დაშვებაში იყოს. შეცდომის დაშვება უბრალოდ საშუალებაა, რომ ინანო და ისწავლო, ურომლისოდაც ცხოვრებას აზრი არა აქვს. ცხოვრების აზრი სინანულში და სწავლაშია, რაც არ არსებობს შეცდომის დაშვების გარეშე. ვისაც სინანული არ შეუძლია, მას არც სწავლა ძალუძს. ბურბონებმა იმიტომ ვერ ისწავლეს, რომ ვერ მოინანიეს. მათ ეგონათ, რომ სახელმწიფო თვითონ იყვნენ („სახელმწიფო - ეს მე ვარ!“) და ცდილობდნენ დაბრუნებულიყვნენ, რომ იგივე ეკეთებინათ, რამაც ყველაფერი დააკარგვინათ. იმავე უვიცობაში იმყოფებიან დღევანდელი ნაცმოელებიც: სჯერათ, რომ სახელმწიფო თვითონ არიან და მოსანანიებელი რა სჭირთ?!

შეცდომა, სინანული, სწავლა – აი, ცხოვრების მთელი ციკლი. ამ ციკლის საბოლოო აზრი კი სწავლაშია. ამიტომ არის ნათქვამი: „სწავლა სიბერემდეო“.

მერაბ ბერაძეს შესანიშნავი ლექსი აქვს სინანულზე, რაც მის სწავლაზე მეტყველებს: „სანამ დრო არის, ეფერეთ მშობელს!“ პოეტი ნანობს ცხოვრებაში დაშვებული შეცდომის გამო: „... უპირველესად ცოდვა მაქვს დედის, აი, მიზეზი ცრემლის და სევდის, ვერ მოვეფერე, როცა დაბერდა, როცა მიცდიდა ღია სარკმელთან... მონანიება შორი გზით მოდის, ყველაფრისათვის მოვიხდი ბოდიშს, მაგრამ ვაი რომ არის გვიანი, რა მწარედ ცდება ადამიანი...“

ცხოვრებაში დაშვებული შეცდომების გამო სინანულს გამოხატავს მერაბ მამარდაშვილის ფრაზაც: „არ მინდა კვლავ თექვსმეტი წლისა ვიყო...“

ყველაზე სარწმუნო, საკუთარ შეცდომებზე სწავლაა. ცხადია, არიან ისეთებიც, საკუთარ შეცდომებზეც რომ ვერ სწავლობენ, მაგრამ მათი რიცხვი, ღვთის წყალობით, მცირეა და მნიშვნელოვან გავლენას ვერ ახდენს არჩევნების შედეგებსა და დემოკრატიაზე. იმ „სულელებს“ კი, რომლებსაც საკუთარ შეცდომებზე მაინც შეუძლიათ ისწავლონ, კეთილი ვინებოთ და ვაცადოთ, სანამ საკუთარი შეცდომა ცხვირში არ მოხვდებათ.

პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატი ვალერიან ადვაძე, თავის „კრემლის აგენტის ჩანაწერებში“, იხსენებს აკაკი ბაქრაძის გამონათქვამს, რომელიც მწერალს 1990 წლის არჩევნების შედეგების გამოქვეყნების შემდეგ უთქვამს: „სანამ ახლა ამ ხალხს ცხვირში არ მოხვდებათ, ჭკუას ვერ ისწავლისო“. მაგრამ ვინ აცალათ ჭკუის სწავლა?! არამკითხე კიტოვანმა უდროო დროს დაამხო ხალხის მიერ არჩეული კანონიერი ხელისუფლება, რითაც საშუალება წაართვა „სულელებს“, საკუთარ შეცდომას მიმხვდარიყვნენ და ჭკუა ესწავლათ. ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ „ეროვნული ხელისუფლების“ მრავალი მხარდამჭერი ჯერ კიდევ გონს ვერ მოსულა, და არა იმით, თითქოს ეს პატიოსანი ადამიანები „სულელები“ და გაგების უნარს მოკლებული იყვნენ. ჭკუა საკუთარი შეცდომის შეგნებამ, არასწორად გაკეთებული არჩევანის შედეგმა უნდა გასწავლოს. ხალხმა, როგორც ცალკეულმა ადამიანმა, აკაკი ბაქრაძის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, თვითონ უნდა ამოირტყას საკუთარი შეცდომა ცხვირში, რომ ინანოს და გულისხმა ჰყოს. ამ თვალსაზრისით, პირველი პრეზიდენტის ჩამოგდება ნაადრევი გახლდათ. ამის შედეგია ის უბედურება, რომ მისი თაყვანისმცემლები უსწავლელად ბერდებიან. რვა თვე მეტისმეტად მცირე დროა იმისათვის, რომ ხელისუფლების ნამდვილი სახე შეიცნო. რვა თვის თავზე, სააკაშვილიც მამა აბრამის ბატკანივით გამოიყურებოდა. თურმე, ცოცხებზე ამხედრებული ალქაჯი ყოფილა. ბატონი ზვიადი რა მასთან სახსენებელია, მაგრამ მისთვისაც რომ ცოტა გვეცლია, ალბათ, ზვიადისტებიც (ამ გამოთქმას უარყოფით კონტექსტში არ ვხმარობ) რაღაცას ისწავლიდნენ. თუ ყველა ვერა, ნაწილი მაინც. საჭიროა, რეჟიმი მომწიფდეს, რომ შედეგი დადგეს, რადგან ადამიანთა უმრავლესობა შედეგით აზროვნებს. შედეგი დადგა (ქვეყანა სამ ნაწილად დაიშალა), მაგრამ იგი კიტოვან-შევარდნაძეს დაბრალდა. მართალია, პირველივე თვეებში დაიკარგა ცხინვალი, აფხაზეთის დაკარგვაც დროის საკითხი იყო, რადგან შეუძლებელია, ეთნოშოვინისტური პოლიტიკით მრავალეთნიკური ერისა და სახელმწიფოს ერთიანობა შეინარჩუნო. მაგრამ ამას განჭვრეტა სჭირდება, განჭვრეტა კი - ყველას არ ძალუძს. განჭვრეტა კი არა, ზოგს შედეგის დანახვაც არ ხელეწიფება. ამიტომ იხსენებს მათე ესაია წინასწარმეტყველის ნათქვამს: „სრულდება მათზე ესაიას წინასწარმეტყველება, რომელიც ამბობს: სმენით მოისმენთ, მაგრამ ვერ გაიგებთ, ხილვით იხილავთ, მაგრამ ვერ მიხვდებით“ (მათე, 13:14).

დემოკრატია ბავშვის დაბადებას ჰგავს: იგი მტკივნეული პროცესია, მაგრამ ტკივილის გადალახვა აუცილებელია დემოკრატიის დაბადებისათვის. ხალხმა თავისი შეცდომების ტანჯვით უნდა შვას დემოკრატია, როგორც მშობიარე ქალმა შვილი. და ქართველი ხალხის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ, 22-წლიანი პოლიტიკური ტანჯვის შემდეგ, მან შვა „ქართული ოცნება“, როდესაც შეძლო სწორი არჩევანი გაეკეთებინა 2012 წლის 1 ოქტომბერს.

რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ არ შეიძლება ითქვას, რომ ხალხი უკვე პოლიტიკურად განათლდა და მომავალში შეცდომას აღარ დაუშვებს, მაგრამ დემოკრატია განუწყვეტელი პროცესია და ამ ეტაპზე მან მოახერხა „ხალხის ძალაუფლების“ დემონსტრირება. მართალია, ამჯერად ყველაფერი ისე ნათელი იყო, რომ სხვა არჩევანის გაკეთება უბრალოდ შეუძლებელი გახლდათ. მაგრამ ის ფაქტი, რომ „ქართულ ოცნებას“ მტკიცედ დაუჭირეს მხარი იმ ადამიანებმაც, ვისაც სულაც არ ხიბლავდა მისი კოალიციის შემადგენლობა, თავისთავად უკვე ხალხის პოლიტიკურ მომწიფებულობაზე მეტყველებს. მომავალ არჩევნებში ხალხს, ცხადია, სხვა ვითარებასთან და სხვა გამოცდასთან ექნება საქმე, რადგან „ქართულ ოცნებას“, „ნაცმოძრაობის“ ნაცვლად, უკვე „ეროვნული“ თუ „პატრიოტული“ ძალები დაუპირისპირდებიან, „პატრიოტიზმი“ კი, მოგეხსენებათ, ოცნებაზე მეტია! ვიღაცამ თქვა, შესაძლებელია – ერთი ადამიანი დაუსრულებლად ატყუო, მთელი ხალხი რაღაც პერიოდი ატყუო, მაგრამ შეუძლებელია, მთელი ხალხი მუდმივად ატყუოო. რატომაც არა, შესაძლებელია – „პატრიოტიზმის“ დაბოლებით! დიდი ილიას თქმით, „მამულის კვამლი“ ზოგჯერ ისე უბამს თვალებს ადამიანებს, რომ ისინი თავიანთ უბედურებას ვეღარ ხედავენ. ამიტომ არ შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ ხალხი მომავალშიც აუცილებლად სწორ არჩევანს გააკეთებს. ამიტომ ამახვილებს ყურადღებას ბიძინა ივანიშვილი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების აუცილებლობაზე, რაც ხალხის პოლიტიკურ განათლებას გულისხმობს.

ბატონი ბიძინა საზოგადოებაში პოლიტიკური კულტურის ნაკლებობაზე მიანიშნებდა გაზეთ „ასავალ-დასავალისათვის“ მიცემულ ინტერვიუში, როდესაც ჟურნალისტი უკმაყოფილებას გამოთქვამდა კოალიციაში რესპუბლიკელების ყოფნის გამო: „რესპუბლიკელები ყოველთვის აკადემიური ენით საუბარს ცდილობენ და ვერ საუბრობენ იმ ენით, რომლითაც მოიხიბლება საზოგადოება... აქ საზოგადოებაშიც უნდა ვეძებოთ მიზეზები... შესაძლოა, ჩვენ პოლიტიკური კულტურაც გვაკლია და, რა თქმა უნდა, საამისო მიზეზებიც არსებობს... რესპუბლიკელები ევროპისთვის გასაგები ენით საუბრობენ, მაგრამ ბოლო ათწლეულების განმავლობაში საქართველოში მომხდარმა მოვლენებმა ასეთი ხასიათი ჩამოგვიყალიბა, მეტ რადიკალიზმსა და მეტ სიფიცხეს ვართ ჩვეულნი... სხვათა შორის, ინტელიგენციის გარკვეულ ნაწილს მოსწონს რესპუბლიკელები, მაგრამ ასეთი ადამიანები ძალიან ცოტანი არიან... თუმცა მათი აკადემიური ენა ჩემთვის დასაწუნი არ არის“.

აკადემიური ენა, როგორც ჩანს, არც ბატონ ჟურნალისტს მოსწონს და ცდილობს, ჩაჭრას რესპონდენტი: „მთლად ასეც ვერ ვიტყვით... გავიხსენოთ აკაკი ბაქრაძე, რომელიც აკადემიური ენით საუბრობდა, მაგრამ ხალხს უყვარდა...“

„ქართული ოცნების“ ლიდერმა საჭიროდ არ ჩათვალა, ეპასუხა და სწორად მოიქცა. მაგრამ თუ ჟურნალისტს მართლა აინტერესებს ის, რასაც კითხულობს, მე ვუპასუხებ: ხალხს უყვარდა აკაკი ბაქრაძე, სანამ ე.წ. „ეროვნული მოძრაობის“ ლიდერები მწერალს, ქართველ ინტელიგენციასთან ერთად, „კრემლის აგენტის“ იარლიყს მიაკრავდნენ და მიკროფონს ხელიდან გამოსტაცებდნენ, რომ უფრო ადვილად გაებრიყვებინათ ხალხი.

ჟურნალისტი არ ეშვება ბატონ ბიძინას: „რესპუბლიკელების შემთხვევაში, იქნებ მსოფლმხედველობაში უნდა ვეძებოთ პრობლემა?“

რესპონდენტი კითხვაზე კითხვით პასუხობს: „რას გულისხმობთ მსოფლმხედველობაში? იქნებ ჩავუღრმავდეთ?

ჟურნალისტი არ უღრმავდება. არადა, საჭიროა ჩაღრმავება, რადგან ამ „პრობლემას“ სხვებიც შეუწუხებია. საინტერესოა, მაინც რას უწუნებენ რესპუბლიკელებს? იმას, რომ რესპუბლიკა უნდათ და არა სამეფო? თუ იმას, რომ ლიბერალები არიან, რაც, „პატრიოტების“ აზრით, გამორიცხავს პატრიოტიზმს? მაგრამ დიდი ილიაც ლიბერალი გახლდათ, რაც სულაც არ უშლიდა ხელს, პატრიოტი ყოფილიყო. თუმცა, მავანს მაშინაც სალანძღავად მიაჩნდა ლიბერალობა: „ის ლიბერალი, ბურთივით მრგვალიო“. დავით უსუფაშვილსაც იმის გამო ხომ არ ამუნათებენ, რომ „ბურთივით მრგვალია“?!

ლიბერალიზმი პიროვნებისათვის თავისუფლებას, ხოლო ხალხისათვის დემოკრატიას გულისხმობს. სადაც თავისუფლება და დემოკრატია არ არის, არც ადამიანი არსებობს, არც ერი და არც საზოგადოება. მთავარია, ადამიანი ნამდვილი ლიბერალი იყოს და არა ცრუ. ნაცმოელები, მაგალითად, ცრულიბერალები იყვნენ. რესპუბლიკელებს ჯერჯერობით სიცრუისა არაფერი ეტყობათ და რატომ უნდა ვქექოთ პრობლემა?! მით უმეტეს, მათს მსოფლმხედველობაში?!

ომარ ხახაშვილი,
ბელგიის მოქალაქე
01.02.2013

ინფორმაცია

ნაცებმა საკონსტიტუციო ცვლილების განხილვა ჩაშალეს

პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტში პრეზიდენტის უფლებამოსილებასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტის განხილვა გადაიდო. ამის მიზეზად იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ვახტანგ ხმალაძემ ის დაასახელა, რომ ბოლო პერიოდში „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა თავი აარიდეს, როგორც პროექტის საყოველთაო სახალხო განხილვაში მონაწილეობას. მისივე თქმით, უმრავლესობა მიმართავს „ნაციონალურ მოძრაობას“ წინადადებით, რომ საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტი განიხილონ საპარლამენტო დებატების ფორმატში.

– უმრავლესობა „ნაციონალურ მოძრაობას“ მიმართავს წინადადებით, რომ ეს საკითხი გადავიტანოთ საპარლამენტო დებატების ფორმატში, ვინაიდან საჯარო განხილვებში მონაწილეობაზე უარს ამბობენ. მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენ მაინც გადავწყვიტეთ ამ თემაზე მსჯელობა საპარლამენტო ფორმატში გავაგრძელოთ და საზოგადოებას ექნება შესაძლებლობა შეაფასოს მტყუანი და მართალი, – აღნიშნა ვახტანგ ხმალაძემ.

ამასთან, ხმალაძემ არ დააკონკრეტა, როდის დაუბრუნდება კომიტეტი საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტის განხილვას.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲐᲠᲪ ᲘᲡᲔ ᲛᲐᲠᲢᲘᲕᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ

ᲨᲐᲙᲝ ᲨᲐᲙᲘᲐᲜᲘ, ᲩᲐᲮᲐᲚᲘᲐᲜᲘ...

ᲛᲐᲚᲐᲚᲝ ღᲛᲔᲠᲗᲝ, ᲨᲔᲜ ᲗᲣ ᲒᲕᲘᲨᲕᲔᲚᲘ, ᲐᲠᲐᲓᲐ, ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲐᲠ ᲕᲘᲪᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲘᲢᲘᲠᲝ, ᲨᲔᲭᲘᲠᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲣᲠᲘ ᲒᲚᲔᲮᲘᲡᲐ ᲐᲠ ᲘᲧᲝᲡ.

ᲔᲒ ᲨᲐᲚᲐᲕᲐ ᲜᲐᲗᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲗᲣ ᲨᲐᲙᲝ, ᲛᲔᲢᲔᲝᲠᲘᲕᲘᲗ ᲨᲔᲛᲝᲘᲭᲠᲐ ᲛᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲐᲓᲠᲔ ᲒᲐᲯᲔᲯᲘᲚᲔᲑᲣᲚ, ᲐᲮᲚᲐ ᲣᲙᲕᲔ ᲓᲘᲓᲘ ᲮᲜᲘᲗ ᲕᲘᲬᲧᲔᲑᲣᲚ ᲢᲔᲚᲔᲡᲘᲕᲠᲪᲔᲨᲘ. ᲐᲥᲐ ᲕᲐᲠᲐᲠ! ᲐᲥᲐᲛᲓᲔ ᲑᲣᲩᲥᲔᲑᲨᲘ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ, ᲜᲔᲢᲐᲕᲘ ᲛᲘᲨᲐᲛ ᲮᲝᲛ ᲐᲠ ᲛᲘᲐᲕᲚᲘᲜᲐ, ᲛᲘᲐᲡᲬᲐᲕᲚᲐ? ᲐᲠᲐᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘᲧᲝ, ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲯᲝᲑᲓᲐ, ᲛᲘᲡᲘ ᲠᲐᲖᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲗᲝᲠᲔᲛ ᲐᲮᲚᲐ ᲗᲐᲕᲖᲔ ᲖᲔᲛᲝᲗ ᲒᲐᲓᲐᲤᲠᲔᲜᲘᲚᲘ ᲩᲮᲘᲙᲕᲘᲡᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲡᲯᲔᲠᲐᲗ, ᲕᲘᲜᲔᲛ ᲜᲐᲗᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲑᲟᲣᲢᲣᲠᲘᲡᲐ.

ᲐᲡᲔ ᲔᲠᲗᲑᲐᲨᲐᲓ ᲡᲘᲜᲓᲘᲡ-ᲜᲐᲛᲣᲡᲘ ᲡᲐᲓ ᲓᲐᲙᲐᲠ�გᲐᲝ, ᲣᲙᲕᲘᲠᲗ ᲛᲘᲡ ᲧᲝᲤᲘᲚ ᲗᲐᲜᲐᲞᲐᲠᲢᲘᲔᲚ-ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲡ. ᲔᲠᲗ ᲓᲠᲝᲡ ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲰᲧᲐᲕᲓᲐ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲛᲭᲔᲠᲘ, ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲒᲝᲛᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲮᲚᲐ ᲤᲐ-Ა-ᲤᲣ!

ᲤᲐᲤᲣ ᲨᲐᲚᲕᲐᲡ ᲡᲘᲜᲓᲘᲡ-ᲜᲐᲛᲣᲡᲘ!.. ᲗᲣᲛᲪᲐ ᲐᲠᲪ ᲰᲥᲝᲜᲘᲐ, ᲗᲝᲠᲔᲛ ᲐᲡᲔ ᲔᲠᲗᲑᲐᲨᲐᲓ ᲠᲐᲡ ᲓᲐᲙᲐᲠ�გᲐᲕᲓᲐ... ᲐᲣᲰ, ᲠᲐ ᲘᲧᲑᲔᲓᲐ, ᲘᲑᲝᲓᲘᲐᲚᲐ, ᲘᲑᲟᲣᲢᲣᲠᲐ, ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲨᲔᲣᲠᲐᲪᲮᲛᲧᲝᲤᲔᲚᲘ ᲙᲘ ᲘᲡᲐᲐ, ᲠᲐᲪ ᲔᲠᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲔᲠᲡ ᲒᲐᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲡ ᲗᲐᲠᲘᲦᲐᲓ, ᲚᲐᲛᲘᲡ ᲡᲐᲚᲝᲪᲐᲕᲐᲓ ᲛᲘᲐᲩᲜᲘᲐ, ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲐᲤᲘᲝᲠᲐᲓ ᲛᲝᲘᲮᲡᲔᲜᲘᲐ ᲨᲐᲙᲝ ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲛᲐ, ᲐᲠᲐᲓᲐ, ᲨᲐᲚᲕᲐᲡᲗᲐᲜᲐ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘᲪ ᲕᲔᲠᲐᲤᲔᲠᲡ ᲓᲐᲐᲙᲚᲔᲑᲡ 1 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲡᲘᲓᲘᲐᲓᲔᲡ, ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲔᲑᲐᲡ.

ᲯᲐᲜᲓᲐᲑᲐᲡ, ᲨᲐᲚᲕᲐ-ᲨᲐᲙᲝ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲣᲠᲘᲐ, ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲡ ᲘᲛᲘᲡᲗᲐᲜᲔᲑᲘ ᲐᲣᲢᲐᲜᲘᲐᲗ? ᲐᲜ ᲐᲠ ᲘᲢᲐᲜᲔᲜ ᲗᲣᲜᲓᲐᲪ ᲫᲛᲔᲑ ᲙᲣᲑᲚᲐᲨᲕᲘᲚᲔᲑᲡ, ᲒᲐᲑᲐᲨᲕᲘᲚᲔᲑᲡ?

ᲗᲣᲛᲪᲐ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲐᲠᲪ ᲘᲡᲔ ᲛᲐᲠᲢᲘᲕᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ, ᲨᲐᲚᲕᲐᲡ ᲠᲝᲛ ᲡᲐᲛᲗᲕᲘᲐᲜᲘ ᲛᲝᲠᲐᲢᲝᲠᲘᲣᲛᲘ ᲒᲐᲛᲝᲣᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲐ. ᲐᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲘᲓᲔᲐ ᲛᲝᲡᲕᲚᲘᲐ ᲗᲐᲕᲨᲘ ᲓᲐ ᲣᲒᲠᲝᲕᲔᲑᲘᲐ, ᲑᲐᲠᲔ ᲮᲣᲗᲘ ᲙᲘ ᲩᲐᲛᲝᲗᲕᲐᲚᲐ, ᲘᲛ ᲬᲕᲔᲠᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲙᲐᲮᲔᲚᲘᲡ, ᲬᲕᲔᲠᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲐᲜᲔᲙᲓᲝᲢᲘᲡᲐ ᲐᲠ ᲘᲧᲝᲡ, ᲚᲔᲜᲘᲜᲡ ᲠᲝᲛ ᲰᲒᲐᲕᲓᲐ ᲓᲐ ᲘᲓᲔᲔᲑᲡ ᲠᲐ ᲕᲣᲧᲝᲕᲝ ᲠᲝᲛ ᲩᲘᲝᲓᲐ. ᲘᲓᲔᲔᲑᲘ ᲐᲬᲣᲮᲔᲑᲡ ᲗᲣᲠᲛᲔ, ᲕᲐᲘᲗᲣ ᲛᲐᲠᲥᲡᲘᲖᲛ-ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲕᲐᲠᲘᲐᲜᲢᲘ ᲩᲐᲛᲝᲒᲕᲘᲧᲐᲚᲘᲑᲐ. ᲰᲝᲓᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲓ ᲙᲘ ᲓᲐᲒᲕᲔᲛᲣᲥᲠᲐ, ᲛᲝᲕᲓᲘᲕᲐᲠᲗ.

ᲐᲛ ᲒᲐᲡᲐᲭᲘᲠᲨᲘ ᲠᲝᲛ ᲕᲐᲠᲗ, ᲐᲡᲔᲗ ᲓᲠᲝᲡ ᲔᲡ ᲩᲐᲮᲐᲚᲘᲐᲜᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲛᲫᲕᲠᲐᲚᲘ ᲯᲘᲜᲘ ᲧᲝᲤᲘᲚᲘᲧᲝᲡ! ᲨᲔᲫᲠᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲐ ᲨᲔᲫᲠᲐ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ. ᲒᲐᲓᲐᲘᲠᲘᲐ ᲐᲬ ᲣᲙᲕᲔ ᲜᲐᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲐᲚᲘ ᲛᲘᲨᲘ�კᲝ, ᲔᲠᲗᲘ ᲕᲘᲜᲛᲔ ᲩᲐᲮᲐᲚᲘᲐᲜᲘ ᲙᲘ ᲐᲠᲐ, ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲨᲘᲠᲘᲡ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲛᲐᲠᲨᲐᲚᲘ ᲑᲐᲒᲠᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲐᲠᲛᲘᲘᲗ ᲨᲔᲛᲝᲒᲕᲡᲔᲝᲓᲔᲡ ᲗᲘᲗᲥᲝᲡ, ᲘᲡᲔ ᲑᲐᲒᲠᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲡ ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲜ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲪᲣᲓᲘ ᲙᲘ ᲣᲙᲐᲕ-ᲨᲘᲠᲓᲔᲑᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ... ᲛᲘᲨᲐ, ᲰᲝ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲔ-ᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲠᲛ ᲔᲜᲐ ᲐᲛᲝᲘᲓᲒᲐ, ᲐᲠᲐᲓᲐ, ᲮᲐᲚᲮᲨᲘ ᲙᲘ ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ, ᲛᲝᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲔ ᲕᲐᲜᲝ ᲜᲐᲙᲚᲔᲑ ᲡᲐᲮᲘᲤᲐᲗᲝᲐ, ᲕᲘᲜᲔᲛ ᲛᲣᲜᲯᲝᲑᲘᲡᲐᲡ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲝ, ᲐᲥᲐᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲠᲪᲕᲐᲚᲘ...

ᲔᲒ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ, ᲐᲮᲚᲐ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ ᲣᲛᲪᲘᲠᲔᲡᲝᲑᲐ ᲠᲛ ᲐᲧᲐᲕᲧᲐᲕᲓᲐ, ᲐᲘ, ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲞᲘᲠᲐ ᲢᲧᲔᲨᲘ, ᲨᲔᲦᲐᲛᲔᲑᲘᲡᲐᲡ ᲢᲣᲠᲔᲑᲛᲐ ᲠᲛ ᲘᲪᲘᲐᲜ ᲮᲝᲚᲛᲔ.

ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲛᲘᲨᲐ ᲛᲔᲪᲝᲓᲔᲑᲐ, ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐᲛ, ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲩᲐᲮᲐᲚᲘᲐᲜᲛᲐ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲜᲔᲕᲠᲝᲖᲘ ᲓᲐᲛᲐᲠᲗᲝᲗᲡᲝ. ᲜᲘᲨᲜᲔᲑᲘ ᲐᲥᲕᲡᲝ, ᲣᲐᲠᲔᲡᲘᲪᲝ, ᲮᲐᲚᲮᲘ ᲠᲐᲡᲐᲪ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ ᲛᲘᲨᲐᲖᲔ, ᲠᲝᲛ ᲛᲝᲘᲡᲛᲘᲜᲝᲡ! ᲗᲣᲛᲪᲐ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲡᲥᲔᲚᲨᲣᲑᲚᲐᲐ...

ᲘᲡᲔ, ᲘᲡᲘᲪ ᲐᲠ ᲒᲐᲒᲘᲙᲕᲘᲠᲓᲔᲗ, ᲪᲝᲢᲐ ᲮᲐᲜᲨᲘ ᲩᲐᲮᲐᲚᲘᲐᲜᲡ ᲦᲘᲠᲡᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲘ, ᲗᲣ ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲐᲠᲐ, ᲩᲐᲛᲝᲰᲙᲘᲓᲝᲡ, ᲓᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲒᲛᲘᲠᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲐᲪᲮᲐᲓᲝᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲗᲣ, ᲛᲔ ᲛᲒᲝᲜᲘ ᲧᲣᲗᲔᲑᲘᲗ ᲣᲬᲧᲕᲘᲐ.

ᲒᲘᲕᲘ ᲯᲐᲮᲣᲐ

P. S. ᲔᲡ ᲙᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲨᲐᲙᲝ-ᲨᲐᲚᲘᲙᲝ ᲜᲐᲗᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲧᲣᲠᲐᲓᲡᲐᲦᲔᲑᲐᲓ: ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲔᲠᲗ ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠ ᲓᲦᲔᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲚ ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘᲡ, ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘᲡ, ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲡ ᲒᲣᲠᲐᲛ ᲥᲐᲨᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲡ 80 ᲬᲚᲘᲡ�თᲐᲕᲘᲡ ᲘᲣᲑᲘᲚᲔᲡ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲓᲘᲗ. ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲠᲔᲡᲢᲝᲠᲜᲘᲡ ᲓᲘᲓ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲨᲘ ᲗᲐᲕᲘ ᲛᲝᲘᲧᲐᲠᲐ 300-ᲖᲔ ᲛᲔᲢᲛᲐ ᲐᲡᲔᲕᲔ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲛᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲛᲐ, ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲛᲐ, ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲛᲐ, �თᲔᲐᲢᲠᲐᲚᲛᲐ, ᲔᲠᲗᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ ᲔᲚᲘᲢᲐᲛ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲢᲝ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲓᲐᲜ, ᲐᲥᲕᲔ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲓᲐᲜ ᲓᲐ ᲙᲘᲔᲕᲘᲓᲐᲜ.

ᲗᲐᲛᲐᲓᲐᲛ, ᲐᲡᲔᲕᲔ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲛᲐ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐᲛ, ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲓᲦᲔᲒᲠᲫᲔᲚᲝ ᲣᲤᲚᲘᲡ ᲡᲐᲓᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲔᲠᲗ ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠ ᲓᲦᲔᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲚ ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲡ, ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲡ, ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲡ ᲒᲣᲠᲐᲛ ᲥᲐᲨᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲡ 80 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲘᲣᲑᲘᲚᲔᲡ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲓᲘᲗ. ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲠᲔᲡᲢᲝᲠᲜᲘᲡ ᲓᲘᲓ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲨᲘ ᲗᲐᲕᲘ ᲛᲝᲘᲧᲐᲠᲐ 300-ᲖᲔ ᲛᲔᲢᲛᲐ ᲐᲡᲔᲕᲔ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲛᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲛᲐ, ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲛᲐ, ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲛᲐ, ᲗᲔᲐᲢᲠᲐᲚᲛᲐ, ᲔᲠᲗᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ ᲔᲚᲘᲢᲐᲛ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲢᲝ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲓᲐᲜ, ᲐᲥᲕᲔ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲓᲐᲜ ᲓᲐ ᲙᲘᲔᲕᲘᲓᲐᲜ.

ᲗᲐᲛᲐᲓᲐᲛ, ᲐᲡᲔᲕᲔ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲛᲐ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐᲛ, ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡᲛᲪᲔᲚᲛᲐ, ᲔᲠᲗᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ ᲔᲚᲘᲢᲐᲛ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲢᲝ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲓᲐᲜ, ᲐᲥᲕᲔ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲓᲐᲜ ᲓᲐ ᲙᲘᲔᲕᲘᲓᲐᲜ.

ᲗᲐᲛᲐᲓᲐᲛ, ᲐᲡᲔᲕᲔ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲛᲐ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐᲛ, ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲓᲦᲔᲒᲠᲫᲔᲚᲝ ᲣᲤᲚᲘᲡ ᲡᲐᲓᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲔᲠᲗ ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠ ᲓᲦᲔᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲚ ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲡ, ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲡ, ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲡ ᲒᲣᲠᲐᲛ ᲥᲐᲨᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲡ 80 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲘᲣᲑᲘᲚᲔᲡ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲓᲘᲗ. ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲠᲔᲡᲢᲝᲠᲜᲘᲡ ᲓᲘᲓ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲨᲘ ᲗᲐᲕᲘ ᲛᲝᲘᲧᲐᲠᲐ 300-ᲖᲔ ᲛᲔᲢᲛᲐ ᲐᲡᲔᲕᲔ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲛᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲛᲐ, ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲛᲐ, ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲛᲐ, ᲗᲔᲐᲢᲠᲐᲚᲛᲐ, ᲔᲠᲗᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ ᲔᲚᲘᲢᲐᲛ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲢᲝ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲓᲐᲜ, ᲐᲥᲕᲔ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲓᲐᲜ ᲓᲐ ᲙᲘᲔᲕᲘᲓᲐᲜ.

ᲗᲐᲛᲐᲓᲐᲛ, ᲐᲡᲔᲕᲔ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲛᲐ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐᲛ, ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲓᲦᲔᲒᲠᲫᲔᲚᲝ ᲣᲤᲚᲘᲡ ᲡᲐᲓᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲔᲠᲗ ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠ ᲓᲦᲔᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲚ ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲡ, ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲡ, ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲡ ᲒᲣᲠᲐᲛ ᲥᲐᲨᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲡ 80 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲘᲣᲑᲘᲚᲔᲡ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲓᲘᲗ. ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲠᲔᲡᲢᲝᲠᲜᲘᲡ ᲓᲘᲓ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲨᲘ ᲗᲐᲕᲘ ᲛᲝᲘᲧᲐᲠᲐ 300-ᲖᲔ ᲛᲔᲢᲛᲐ ᲐᲡᲔᲕᲔ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲛᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲛᲐ, ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲛᲐ, ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲛᲐ, ᲗᲔᲐᲢᲠᲐᲚᲛᲐ, ᲔᲠᲗᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ ᲔᲚᲘᲢᲐᲛ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲢᲝ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲓᲐᲜ, ᲐᲥᲕᲔ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲓᲐᲜ ᲓᲐ ᲙᲘᲔᲕᲘᲓᲐᲜ.

ᲕᲣᲡᲛᲔᲜᲓᲘ ᲜᲐᲪᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲪᲐᲓᲘ ᲑᲔᲚᲐᲓᲘᲡ ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲛᲔᲑᲠ ᲓᲐᲣᲚᲐ�გᲔᲑᲔᲚ ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲡ ᲓᲐ ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘᲡ ᲬᲘᲐᲚ ᲕᲤᲘᲥᲠᲝᲑᲓᲘ — **ᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲰᲧᲐᲠᲐ ᲔᲡ ᲣᲛᲬᲘᲠᲔᲡᲝᲑᲐ ᲐᲠᲪᲗᲣ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝ ᲑᲐᲗᲣᲛᲣᲠ ᲡᲔᲠᲝᲑᲐᲖᲔ, ᲠᲐ ᲒᲐᲛᲝᲣᲕᲘᲓᲐ:** ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲞᲝᲡᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲣᲛᲘ ᲮᲣᲨᲢᲣᲠᲘᲡ ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲔᲑᲐ, „ᲰᲝᲞᲚᲐ, ᲩᲕᲔᲜ ᲪᲝᲪᲮᲚᲝᲑᲗ“ ᲛᲝᲓᲔᲚᲘᲡ ᲓᲔᲛᲝᲜᲡᲢᲠᲘᲠᲔᲑᲐ ᲗᲣ „ᲙᲕᲚᲐᲕ ᲜᲐᲪᲜᲘ ᲕᲐᲠᲗ, ᲔᲒᲠᲔ ᲠᲐᲢᲛᲝᲛ ᲒᲕᲘᲧᲣᲠᲔᲑᲗ, ᲙᲕᲚᲐᲕ ᲒᲕᲐᲮᲣᲠᲐᲕᲡ ᲗᲐᲕᲖᲔ ᲜᲐᲪᲣᲠᲘ ᲥᲣᲓᲘ“-Ს ᲨᲔᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ?..

ᲘᲡᲔ, ᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ ᲛᲔ ᲛᲔᲩᲕᲔᲜᲐ ᲓᲐᲣᲚᲐᲒᲔᲑᲔᲚᲘ, ᲗᲝᲠᲔᲛ ᲐᲑᲐ ᲔᲥᲡᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲛᲐᲠᲯᲕᲜᲘᲕ ᲛᲯᲓᲐᲠᲘ ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐ ᲮᲔᲚᲘᲡ, ᲣᲛᲬᲘᲠᲔᲡᲝᲑᲘᲡ ᲚᲘᲓᲔᲠ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲑᲐᲥᲠᲐᲫᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲔᲙᲘᲗᲮᲐᲗ! ᲐᲥᲜᲘᲐ ᲓᲐ ᲐᲥᲜᲘᲐ ᲗᲐᲕᲘ ᲑᲝᲡᲘᲡ ᲝᲠᲐᲢᲝᲠᲣᲚᲘ ᲛᲐᲠᲒᲐᲚᲘᲢᲔᲑᲘᲡ ᲙᲕᲐᲚᲓᲐᲙᲕᲐᲚ, ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ ᲛᲝᲙᲕᲓᲐ ᲙᲐᲪᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲙᲐᲜᲢᲣᲠᲘᲗ! ᲐᲥᲕᲔ ᲡᲐᲗᲥᲛᲔᲚᲐᲓ, ᲐᲠ ᲕᲘᲪᲘ ᲠᲐ ᲓᲐᲔᲛᲐᲠᲗᲐ ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜ ᲣᲛᲪᲘᲠᲔᲡᲗᲐ ᲗᲐᲕᲔᲑᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲐᲡᲢᲣᲠ ᲐᲠ ᲓᲐᲥᲜᲔᲣᲚᲐ; ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ ᲚᲘᲓᲔᲠᲗᲐᲜ — ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲛᲐᲒᲘᲔᲠ ᲨᲔᲜ ᲐᲥᲜᲘᲔᲗ... ᲘᲡᲔ, ᲘᲛ ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲙᲐᲘ ᲮᲜᲘᲡ ᲣᲜᲐᲮᲐᲕᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲜᲐᲢᲠᲔᲑᲣᲚᲘ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲛᲐᲠᲐᲓ ᲪᲜᲝᲑᲐᲓᲘ ᲡᲐᲮᲔᲪ ᲓᲐᲕᲘᲜᲐᲮᲔ ᲮᲐᲗᲣᲜᲐ ᲒᲝᲒᲝᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲕᲘᲮᲐᲠᲔ ᲙᲘᲓᲔᲕᲔᲕᲐᲪ...

...ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲪᲮᲠᲐ ᲗᲕᲘᲡ ᲡᲘᲒᲠᲫᲔᲖᲔ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲣᲠᲐᲓ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲝᲑᲘᲗ ᲤᲔᲮᲛᲫᲘᲛᲔ ᲛᲘᲨᲐᲡ ᲙᲕᲚᲐᲕᲐᲪ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲒᲖᲘᲡ ᲕᲜᲐᲮᲐᲕᲗ ᲑᲐᲗᲣᲛᲡ ᲛᲘᲛᲐᲕᲐᲚᲡ ᲓᲐ ᲔᲒᲔᲑ ᲜᲔᲚᲜᲔᲚᲐ ᲒᲐᲕᲐᲠᲙᲕᲘᲝᲗ, ᲠᲐ ᲛᲘᲰᲥᲝᲜᲓᲐ, ᲠᲐ ᲛᲝᲰᲥᲝᲜᲓᲐ...

...ᲘᲛᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚ ᲑᲐᲗᲣᲛᲣᲠ ᲡᲔᲠᲝᲑᲐᲡ ᲙᲘ ᲠᲐᲪ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲐ — ᲐᲠᲪᲗᲣ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝ ᲨᲢᲔᲠᲝᲑᲐᲪ ᲓᲐᲔᲛᲡᲒᲐᲕᲡᲐ...

ᲑᲔᲠᲓᲘᲐ ᲑᲔᲓᲝᲘᲫᲔ

◎ ᲛᲘᲚᲝᲪᲕᲐ

ᲗᲥᲕᲔᲜ ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲮᲐᲠᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲓᲔᲓᲐ

ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡ ᲛᲐᲠᲘᲐᲛ ᲚᲝᲠᲗᲙᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔᲡ

**ᲓᲘᲓᲝ ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲝ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲘᲓᲝ ᲓᲔᲓᲐᲕ! ᲛᲝᲒᲔᲡ

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

საფერავის დაბრუნება

გენადი ონიშჩენკო მზად არის, გაემგზავროს საქართველოში, რათა ნახოს, თუ როგორ ამზადებენ ღვინოს

ორშაბათს მოსკოვში სტარტი აიღო სამდღიანმა მოლაპარაკებამ რუსეთის სამომხმარებლო ზედამხედველობის წარმომადგენლებსა და საქართველოს სოფლის მეურნეობის დელეგაციას შორის რუსეთის ბაზარზე ქართული პროდუქციის დაბრუნების საკითხთან დაკავშირებით. გათვალისწინებულია შეხვედრა რუსეთის ფედერაციის მთავარ სანიტარულ ექიმთან გენადი ონიშჩენკოსთან. მოლაპარაკების მონაწილეთა სიტყვებით, ეს არის ტექნიკური ხასიათის შეხვედრა, სადაც განიხილავენ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია ქართული პროდუქციის ხარისხთან, მისი კონტროლის ფორმებთან. შესაძლებელია, მოხდეს საქართველოში რუსი სპეციალისტების ჩამოსვლის თარიღის შეთანხმება, რომლებიც ადგილზე გაეცნობიან ქართული ღვინოებისა და მინერალური წყლების წარმოების ტექნოლოგიას.

საქართველო ამ დღეს ელოდება 2006 წლიდან, როდესაც რუსეთის სამომხმარებლო ზედამხედველობამ განაცხადა, რომ ამ ქვეყნიდან იმპორტირებული სასმელებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ხარისხი არ შეესაბამება რუსეთის სტანდარტებს. სავაჭრო ურთიერთობათა გაწყვეტა ერთი მხრიდან დაემთხვა მოსკოვსა და თბილისს შორის პოლიტიკურ დაპირისპირებათა მორიგ ნაკადს.

თბილისის ლიდერებმა უარი განაცხადეს მიეღოთ რუსეთის მხარის ოფიციალური ვერსია ბაზრის დახურვასთან დაკავშირებით, განაცხადეს, რომ მოსკოვი ცდილობს, ეკონომიურად მოახრჩოს თავისუფლებისმოყვარე, პრო-დასავლური საქართველო. „არაფერი გამოუვათ! ჩვენ მოვნახავთ გასაღების ახალ ბაზრებს. ჩვენ დაგვეხმარებიან დასავლელი მეგობრები. ჩვენს გლეხობას უყურადღებოდ არ დატოვებენ ჩვენი ბიზნესმენები“, — განაცხადა მაშინ პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა.

მაგრამ პრეზიდენტის მიერ გამოცხადებული „პროგრამებიდან“ ყველაფრის შესრულება როდი მოხდა. ადგილობრივმა ბიზნესმენებმა აწ გარდაცვლილი ბადრი პატარკაციშვილის მეთაოვობით შეისყიდეს რამდენიმე ათეული ტონა ყურძენი — „უბრალოდ ისე, პირადი მოხმარებისთვის“. მაგრამ ამას არ აკეთებდნენ ყოველწლიურად მასობრივად. რამდენიმე ამერიკელმა სტრუქტურამ ემბარგოს პირველ წელს საქართველოში შეისყიდა გარკვეული რაოდენობის ღვინომასალა. მაგრამ თბილისში გავრცელდა ხმები, რომ აქცია, უბრალოდ, ჰუმანიტარული იყო — პროდუქცია ამერიკის შეერთებული შტატების ღვინის ქარხნებამდე არც მისულა, უბრალოდ, გადაყარეს სადღაც ნეიტრალურ წყლებში. ვერ გამართლდა საქართველოს მთავრობის მთავარი იმედებიც — მოეპოვებინათ რუსეთის გასაღების ბაზრის სრულფასოვანი ალტერნატივა. ბოსტნეულის, ხილის, მინერალური წყლებისა და უალკოჰოლო სასმელების მიწოდების შეწყვეტისგან დანაკარგების მინიმალიზაცია ძირითადად მოხდა ექსპორტის მოცულობის გაზრდის ხარჯზე უკრაინაში, ყაზახეთსა და თურქეთში. მაგრამ მდგომარეობა ღვინოსთან დაკავშირებით რთული დარჩა.

დაიხარჯა ბევრი რამ ახალი ბაზრების ათვისებისთვის. ერთდროულად მკაცრი ზომები შემოიღეს ადგილობრივი მეღვინეობის დარგებში. გამოვლენილი არალეგალური ქარხნები, რომლებიც აწარმოებდნენ ფალსიფიცირებულ პროდუქციას, უკომპრომისოდ გაანადგურეს. ლეგალურ წარმოებებს კი ისე გაუმკაცრეს მოთხოვნები ხარისხთან დაკავშირებით, რომ ახალმა ბიზნესმენებმა გადაწყვიტეს შეეცვალათ თავიანთი საქმიანობის სახეობა. სამაგიეროდ, სხვებმა, რომლებმაც ამოიცნეს ბაზრის რეალიები, გადაწყვიტეს შეეცვალათ თავიანთი ქარხნების დანიშნულება, დაიწყეს ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, საკუთარი ვენახების შეძენა და ა.შ. ყოველივე ეს დაუყოვნებლივ აისახა ქართული ღვინის ხარისხზე. იგი იძულებითს „რევოლუციამდეც“ კარგი იყო, მაგრამ მიღებული ზომების შემდეგ... სარეკლამო ეპითეტებს რომ თავი დავანებოთ, საკმარისია შემოვიფარგლოთ შეხსენებებით, რომ არც ერთი საერთაშორისო ღვინის გამოფენა ან ფესტივალი არ ყოფილა საქართველოდან გამარჯვებულებისა და ლაურეატების გარეშე სხვადასხვა ნომინაციაში.

მაგრამ ამავე დროს მსოფლიო ბაზარზე შეიქმნა პარადოქსული სიტუაცია — ქართული ღვინოების მასობრივი შერწყმა არ გამოდიოდა, მიუხედავად იმისა, რომ მათი წინ წაწევა გამოცხადდა სახელმწიფო ამოცანად, პრეზიდენტმა სააკაშვილმა კი დაავალდებულა თითოეული ჩინოვნიკი — ყველაფერი გააკეთონ ამ მიზნის მისაღწევად. წარმატებები ახალი ბაზრების ათვისებაში მთლიანად ლოკალურ ხასიათს ატარებდა. და ეს აიხსნება ღვინის ბაზრის საგანგებო კონსერვატიულობით, ღვინის მოხმარების ტრადიციებით. იმ ქვეყნებში, სადაც არ არის მეღვინეობის კულტურა, იშვიათი გამონაკლისის გარდა, არ არის მისი მასშტაბური მოხმარების კულტურაც. იქ კი, სადაც აქვთ თავიანთი ვაზი, უცხოურ ღვინოს არ დალევენ დეკალიტრობით, თუნდაც პატრიოტული თვალსაზრისით ან ბანალური ჩვეულებების შესაბამისად. ამ თვალსაზრისით რუსეთი უნიკალურია, და საქართველოსთვის ღვინის რეალიზაციის თვალსაზრისით — შეუცვლელია.

დღეს, როდესაც საქართველოში შეიცვალა ხელისუფლება, სახელმწიფოთაშორის ურთიერთობაში გამოჩნდა დათბობის ნიშნები. ამიტომ იმის ალბათობა, რომ ემბარგო გაუქმდება, საკმაოდ მაღალია. მაგრამ გასული 6-7 წლის განმავლობაში შეიცვალა თავად რუსეთის ბაზარიც. თბილისს, სპეციალისტების აზრით, შეიძლება იმედი ჰქონდეს რუსეთის ფედერაციის ღვინის ბაზრის სეგმენტის 2-3 პროცენტის დაბრუნებაზე. და ესეც საეჭვო პროგნოზია.

მოსკოვში ჩასული საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელმა ლევან დავითაშვილმა გვაცნობა, რომ მოლაპარაკებაში, რომელიც ორ-სამ დღეს გაგრძელდება, საქართველოს მხრიდან მონაწილეობას მიიღებენ ღვინის ეროვნული სააგენტოს, მეღვინეთა ასოციაციის, ბოსტნეულისა და ხილის ექსპორტის კომპანიის, აგრეთვე სასურსათო სააგენტოს წარმომადგენლები. ამგვარი წარმომადგენლობა მოწმობს იმის შესახებ, რომ საქართველოს მხარე შეხვედრაზე შეეხება არა მხოლოდ ღვინის პრობლემატიკას, არამედ ვაჭრობის უფრო ვრცელ სპექტრსაც. კონკრეტულად რომელი პროდუქცია მიიღებს უფლებას, იყოს წარმოდგენილი რუსეთის ბაზარზე, გაირკვევა მოლაპარაკების შედეგების მიხედვით, როგორც ის, ჩავლენ თუ არა საქართველოში რუსი სპეციალისტები ტექნოლოგიური პროცესების გასაცნობად უშუალოდ ადგილზე. ჯერჯერობით კი ცნობილია, რომ ღვინოებთან დაკავშირებით მოსკოვი მხარს უჭერს დიფერენცირებულ მიდგომას. როგორც ჩანს, ბაზარი გაიხსნება მხოლოდ ბოთლიანი პროდუქციისთვის, ღვინომასალებისთვის კი გზები დაკეტილი დარჩება.

როდესაც მოლაპარაკების ანონსირებას ახდენდა, რუსეთის სამომხმარებლო ზედამხედველობის უფროსმა გენადი ონიშჩენკომ თქვა, რომ საქართველოს მხრიდან ელოდება მზადყოფნას. „თუ საუბარი შეეხება საქმეს, მაშინ მოლაპარაკების რაუნდები ბევრი არ იქნება. თუ დაიწყება პოლიტიკა, მაშინ შეხვედრებს დასასრული არც ექნება, — აღნიშნა მან. — განვიხილავთ დაშვების რეჟიმის საკითხს. რამდენი წელია ქართული პროდუქცია არ ყოფილა ჩვენს ბაზარზე. ჩვენ დაგვაინტერესებს, თუ როგორ გაჩაღდება ბრძოლა ფალსიფიკატორებთან. აქ არის საკითხი ცივილიზებულ და ეფექტიან დისტრიბუციაზე“.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრმა დავით კირვალიძემ, რომელიც კომენტარს უკეთებდა დაწყებულ მოლაპარაკებას, დაგვარწმუნა, რომ საქართველო მზად არის, შეასრულოს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ყველა შესაბამისი სტანდარტები რუსეთის მხრიდან მოთხოვნის შესაბამისად ჩვენი პროდუქციის ექსპორტის განახლებისთვის რუსეთის ფედერაციის ბაზრებზე.

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА

მიხეილ სააკაშვილს „სირცხვილის დერეფანი“ მოუმზადეს

პარასკევს, 8 თებერვალს, მიხეილ სააკაშვილი, უკანასკნელად პრეზიდენტის რანგში, გამოვა დეპუტატების წინაშე ყოველწლიური გზავნილით და ეს გზავნილი, ალბათ, მას დიდხანს დაამახსოვრდება. პირველად ათი წლის განმავლობაში ეს ტრადიციული ღონისძიება გაიმართება საქართველოს პრეზიდენტისთვის უკიდურესად არახელსაყრელ ვითარებაში. ქუთაისში პარლამენტის შენობის შესასვლელთან მას დაელოდებიან ოპოზიციურად განწყობილი მოპიკეტეები, რომელთა გავლაც მას მოუწევს.

— ჩვენ განზრახული გვაქვს მოვახდინოთ რამდენიმე ათასი კაცის მობილიზაცია თბილისსა და რეგიონებში, რათა სააკაშვილს მოვუწყოთ „სირცხვილის დერეფანი“, — განაცხადა ჩვენთან საუბარში სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „სოლიდარობა საზოგადოების უფლებისთვის“ ხელმძღვანელმა მიხეილ ანდღულაძემ, რომლის ინიციატივითაც გასული ნოემბრიდან პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით შეგროვდა საქართველოს მოქალაქეთა ერთ მილიონზე მეტი ხელმოწერა.

პრეზიდენტის გამოსვლა დაგეგმილია 14 საათისთვის, საპროტესტო აქცია დაიწყება შუადღისას. მისი ხელმძღვანელები მივლენ ადგილზე უკვე 7 თებერვალს და გაშლიან კარავს.

— ქუთაისის მერია ინფორმირებულია ჩვენი აქციის შესახებ, — გვაცნობა მიხეილ ანდღულაძემ. — პოლიციასთან დაპირისპირებას ჩვენ არ ვაპირებთ. ყველაფერი კანონის ფარგლებში იქნება.

საქართველოს წესებით, აქციების ორგანიზატორები მხოლოდ ინფორმაციას აწვდიან ხელისუფლებას განზრახვის შესახებ, მოაწყონ აქცია — სპეციალური ნებართვის მიღება არ არის საჭირო. სააკაშვილის მოწინააღმდეგეები აპირებენ მოაწყონ ლოზუნგების სკანდირება მის წინააღმდეგ და სტვენები. ალბათ, აქციაზე გამოჩნდება გვირგვინები — ასეთი მიტინგების ტრადიციული ატრიბუტი სექტემბრის „ციხის სკანდალის“ შემდეგ, სადაც ხდებოდა პატიმრების წამება და გაუპატიურება.

დეპუტატმა პრეზიდენტის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პარტიიდან შოთა მალაშხიამ განაცხადა, რომ „ვერანაირი პატარა პროვოკაციებით პრეზიდენტს ვერ შეაშინებენ და მას განზრახული არ აქვს შევიდეს პარლამენტის შენობაში შემოვლითი გზებით. მისი სიტყვებით, „პიკეტის ორგანიზაციის უკან დგას „ქართული ოცნება“, რათა შექმნას ნეგატიური ფონი სახელმწიფოს მეთაურის გამოსვლისთვის. ეს სამარცხვინოა, როდესაც მიტინგებს აწყობს არა ოპოზიცია, არამედ ხელისუფლება. ეს იაფფასიანი მეთოდებია“.

„ქართული ოცნების“ საპარლამენტო ლიდერმა დავით საგანელიძემ განაცხადა, რომ „სირცხვილის დერეფნის“ ორგანიზაციასთან დაკავშირებით კოალიციას არანაირი ურთიერთობა არ გააჩნია.

ИЗВЕСТИЯ

დედამიწის ზურგზე

კატასტროფა პირველი პირისგან: იაპონიაში აჩვენეს ვიდეოს ნაკრები, რომელიც გადაღებულია 2011 წლის დიდი მიწისძვრის დარტყმების დროს

იაპონიის ტელევიზიამ ეთერში გაუშვა ჩანაწერები, რომლებზეც აღბეჭდილია, თუ სად და როგორ გადაეყარნენ იაპონელები პლანეტაზე ერთ-ერთ ყველაზე დამანგრეველ მიწისძვრას. ვიდეოზე აღბეჭდილია მლოცველი ბავშვები, გაისმის განმგმირავი ყვირილი ნახევრად ბნელ სავაჭრო დარბაზში, სადაც რყევებისგან ჩაქრა შუქი, და გაჩნდა ბზარები გზებზე მიწისქვეშა ბიძგების დროს.

* * *

სმოგის (ძართულად, საბას მიხედვით, ტვიფის) ღრუბელი, რომელმაც ჩინეთი დაფარა, მივიდა იაპონიამდე. პეკინში ვაჭრობენ პაერით ძილებში

სმოგის ძირითად დამნაშავეებად ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში მიჩნეულია ქვეყნის უდიდესი სანავთობო კომპანიები, რომლებიც არ გადასულან ჯერ კიდევ შარშან მიღებულ ახალ სათბობ სტანდარტებზე. სანამ ხელისუფლება და ნავთობგიგანტები დავობენ, პეკინელები იძულებული არიან შეისყიდონ პლასტიკური ქილები „ხელუხლებელი ტიბეტიდან“ და „პოსტინდუსტრიული ტაივანიდან“.

* * *

აურზაური შვედეთში: მთავარსარდალმა აღიარა, რომ რუსეთს შეუძლია დაიპყროს ძვეყანა ერთ კვირაში

პროკურატურა აცხადებს, რომ მთავარსარდალმა სვერკერ იორანსონმა, რომელმაც გაიხსენა რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომი, გაამჟღავნა სახელმწიფო საიდუმლოება. ამ დროს შვედები უპასუხებენ სოციოლოგებს, რომ ისინი არ არიან წინააღმდეგი შეუერთდნენ ნატოს. ფინეთშიც დაიწყეს იმის განხილვა, თუ რამდენ ხანს გაუძლებენ ისინი რუსეთს თავდასხმის შემთხვევაში.

* * *

ტურისტების მასობრივი გაუპატიურება მეძსიკაში: ძალებს თავს დაესხა შეიარაღებული ბანდა ნიღბებში

ექვს ესპანელ და ერთ მექსიკელ ქალს შეუტია ბანდამ, რომელიც ათი კაცისგან შედგებოდა. მოძალადეები შეიჭრნენ ერთ-ერთ კერძო სასტუმროში, სადაც ქალები ცხოვრობდნენ და ძალა იხმარეს მათზე. ძალადობის ფაქტი დაადასტურა ადგილობრივმა ხელისუფლებამ. ძალადობის მსხვერპლებმა შეიტანეს განცხადება პროკურატურაში.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ იუსტიცია

კუბლაშვილი თანაგუნდელების გადარჩენას ცდილობს

იუსტიციის სამინისტრომ ცოტა ხნის წინათ პარლამენტში შეიტანა კანონპროექტი, რომლის ერთი ნაწილი იუსტიციის საბჭოს დაკომპლექტების წესს ეხება. მისი მიხედვით იუსტიციის უმაღლეს საბჭოში პრეზიდენტის წარმომადგენლებსა და პარლამენტის წევრების ნაცვლად საზოგადოების აპოლიტიკური წევრები მოხვდებიან. ამის გარდა, იუსტიციის საბჭოში სავალდებულო ხდება არამოსამართლე წევრების ხმის მიცემა მოსამართლეთა დანიშვნის დროს. იზღუდება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილებაც. აქვე აღსანიშნავია, რომ კანონპროექტის კანონად გადაქცევის შემთხვევაში, იუსტიციის საბჭოს წევრებს ავტომატურად ეწურებათ სამოქმედო ვადა.

უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ წულუკიანის უწყების კანონპროექტს მიუღებელი და რეგრესიული უწოდა. კუბლაშვილის განმარტებით, იუსტიციის საბჭოს წევრები კონსტიტუციისა და კანონის შესაბამისად არიან არჩეულნი და მათთვის უფლებამოსილების უნდობლობის მოტივით შეწყვეტა კონსტიტუციის ხელყოფაა.

ქვეყნის ნომერ პირველმა მოსამართლემ გამოთქმულ კრიტიკას კონკრეტული ნაბიჯებიც მიაყოლა. მან წამოაყენა ინიციატივა, სადაც საუბარია კონსტიტუციაში ორი კონკრეტული მუხლის დამატების თაობაზე. პირველის მიხედვით, ქვეყნის მთავარ კანონში უნდა ჩაიდოს მუხლი, სადაც მითითებული იქნება, რომ არც ერთ ხელისუფლებას აღარ ექნება უფლება, რაიმე ცვლილება შეიტანოს კონსტიტუციის იმ ნაწილში, რომელიც სასამართლო ხელისუფლებას ეხება.

მეორე ინიციატივა ეხება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებისათვის (არსებულთათვის) უფლებამოსილების შენარჩუნებას, ანუ აღარავის უნდა ჰქონდეს უფლება იუსტიციის საბჭოს წევრებს ვადაზე ადრე შეუჩეროს მოქმედების ვადა.

ვახტანგ ძაბირაძე, პოლიტოლოგი: „სასამართლოს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფაზე ლაპარაკი თითიდან გამოწოვილი არგუმენტია. თუკი კუბლაშვილს მიაჩნდა, რომ ცვლილება აუცილებელი იყო სულ რაღაც ექვსი თვის წინათ, როდესაც უმრავლესობაში იყვნენ და კონსტიტუციას ყოველ წუთს ცვლიდნენ, ეს კანონპროექტი პარლამენტში შეეტანათ“.

„ერთი შეხედვით რომ შევაფასოთ, ეს ინიციატივა გამიზნულია იმისთვის, რომ არსებული სასამართლო სისტემა „ნათციონალურმა“ მოძრაობამ ცვლილებების გარეშე შეინარჩუნოს“.

ავთანდილ დემეტრაშვილი, კონსტიტუციონალისტი: „კონსტიტუციაში დღემდე არც ერთი ნორმა ხელშეუხებელი არ არის. ყველაფრის გადასინჯვა შეიძლება და რაღა სასამართლო ხელისუფლებაზე უნდა იყოს საუბარი.

ჩემთვის მეორე ინიციატივაც გაუგებარია. თუ იუსტიციის საბჭოს წევრმა გადაცდომა ან დანაშაული ჩაიდინა, ამ შემთხვევაში რას ვშვრებით?“

მინდია უგრეხელიძე, იურისტი: „არავის იმდენჯერ პატივი არ აუყრია კონსტიტუციისათვის, რამდენჯერაც „ნაციონალურმა“ მოძრაობამ. არავის იმდენი ზიანი არ მიუყენებია სასამართლოსათვის, რამდენიც მათ და განსაკუთრებით კოტე კუბლაშვილის თავმჯდომარეობის პერიოდში. პრეზიდენტმა გადაწყვიტა მორჩილებაში ჰყოლოდა სასამართლო და როდესაც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ კოტე კუბლაშვილი დასვა, მას მართლმსაჯულების სისტემაში 5 თუ 6 თანამდებობა მისცა. ამით ყველა ბერკეტი და ღვედი კუბლაშვილის ხელში აღმოჩნდა. ამიტომაც ძალიან კარგია, თუკი კუბლაშვილს უფლებებს შეუზღუდავენ და სასამართლოს მართვის ბერკეტებს ხელიდან გამოაცლიან. თუკი კუბლაშვილი თავს არ დაანებებს ასე „ყინჩად“ ლაპარაკს, შეიძლება ცუდად დაამთავროს, რადგან იმპიჩმენტი უზენაესი სასამართლოს თავმჯომარესაც ეხება“.

უგრეხელიძის განმარტებით, ეს არის სრულიად შეუნიღბავი ბრძოლა იმისათვის, რომ რამენაირად თავი გადაირჩინონ.

დღეს სააკაშვილის გუნდს ხელისუფლებაში ორი „ყინჩად“ მებრძოლი თავისა და გუნდის გადამრჩენიღა შემორჩა – სასამართლო სისტემაში კოტე კუბლაშვილი და აღმასრულებელში გიგი უგულავა, მაგრამ როდემდე?

ზაზა ბილიხოძე

◎ ინფორმაცია

„ტფილისის პამძარი“ ურბანული მემკვიდრეობა, პრობლემები და პერსპექტივები განიხილა

„ტფილისის პამძარის“ ორგანიზებით გუშინ კონფერენცია „ურბანული მემკვიდრეობა, პრობლემები და პერსპექტივები“ გაიმართა. კონფერენციის მიზანი იყო შეეფასებინა კულტურული მემკვიდრეობის რეაბილიტაციის კუთხით განხორციელებული პროცესები თბილისში, ბათუმსა და თელავის მაგალითზე.

კულტურის მინისტრის მოადგილის მარინე მიზანდარის თქმით, მრავალი ასეთი შეხვედრა იქნება საჭირო. მისივე თქმით, ამ პრობლემატური საკითხის დაძვრა არა მხოლოდ კულტურის სამინისტროზე, არამედ სხვა ორგანიზაციებზეცაა დამოკიდებული. კონფერენციაში მონაწილეობდნენ ურბანული მემკვიდრეობის ექსპერტები, არქიტექტორები და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები.

ინტერპრესი

◎ გამოფენა

გაუქმებიდან აღდგენამდე დაბრუნება

„გაუქმებიდან აღდგენამდე დაბრუნება“ – ასე ეწოდება გამოფენას, რომელიც თბილისში გალერეა „გვირაბში“ მოსე თოიძის სახელობის სამხატვრო პროფესიული სასწავლო ცენტრის ძალისხმევით გაიხსნა.

როგორც სასწავლო ცენტრის ყოფილი დირექტორი ირაკლი ფაჩულია აღნიშნავს, გამოფენაზე წარმოდგენილია ამ პროფსასწავლებლის სტუდენტების ოთხასამდე ნამუშევარი.

სასწავლო ნაწილის ყოფილი გამგე გიორგი ვართაგავა ამბობს, რომ გალერეა „გვირაბში“ გამოფენილია გობელენის, თექის, ბატიკის, კერამიკის, ლითონის, ხეზე მხატვრული ჭრის, მინანქარის ნამუშევრები. სპეციალისტების შეფასებით, ექსპონატები, რომლებიც შექმნილია 2006-2010 წლებში, საკმაოდ მაღალი დონისაა.

სასწავლებელში სწავლის პერიოდი ერთ წელს მოიცავს, ნამუშევრების შექმნის პერიოდი კი არის სამი, ექვსი თვე ან ერთი წელიწადი.

პროფესიული განათლების პროფკავშირის თავმჯდომარე დენის დავითაშვილი აცხადებს, რომ სასწავლებლის გაუქმება სრულიად გაუმართლებელი იყო.

– მაგრამ ისევ დადგა ჟამი შემოქმედებისა, – ამბობს ის. – არა მარტო მოსე თოიძის სახელობის სამხატვრო პროფესიული სასწავლო ცენტრი უნდა აღდგეს, არამედ 24 სხვა გაუქმებული პროფსასწავლებელიც, აგრარული და ტექნიკური უნივერსიტეტებისათვის გადაცემული კიდევ 4 სასწავლებელიც...

მოსე თოიძის სახელობის სამხატვრო პროფესიული სასწავლო ცენტრის ძველი პედაგოგი ჰამლეტ რატიანი წუხს, რომ სასწავლო პროცესი ამდენი ხნით შეწყდა და მოხარულია, რომ ამ საკითხის გადაწყვეტა მკვდარი წერტილიდან დაიძრა და მალე ისევ უნდა გაჩაღდეს საქმიანობა ხალხური ხელოვნების სიყვარულის განსამტკიცებლად.

თბილისში გამოფენის გახსნას გალერეა „გვირაბში“ ესწრებოდნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ქეთევან ნატრიაშვილი და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე ალექსანდრე მარგიშვილი, რომლებმაც დენის დავითაშვილსა და ირაკლი ფაჩულიასთან ერთად განიხილეს პერსპექტივები, შემდგომი მოქმედების გზები.

– მიმდინარე გარდაქმნები მიმართულია ხარისხიანი პროფესიული განათლების აღორძინებისა და განვითარებისაკენ, რაც სწავლების დონის ამაღლებასა და საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებას გულისხმობს, – განაცხადა განათლების მინისტრის მოადგილემ ქეთევან ნატრიაშვილმა.

კულტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ ალექსანდრე მარგიშვილმა ხაზი გაუსვა სამხატვრო ხელოვნების სპეციალისტთა მომზადების მნიშვნელობას, რასაც მოსე თოიძის სახელობის სამხატვრო პროფესიული სასწავლო ცენტრის პედაგოგები წლების განმავლობში ეწეოდნენ.

მამია ალაშვილი,

სურათებზე: ირაკლი ფაჩულია, ქეთევან ნატრიაშვილი, დენის დავითაშვილი გამოფენაზე; გამოფენის ერთი კუთხე.

ავტორის ფოტო.

◎ წარდგინება

სიმღერით გამთბარი მიწა...

„ძართული სიმღერა დიდი ფენომენია და სწორედ მას მივუძღვენი ეს ლიტერატურული სცენარი“, – განაცხადა თემურ ჭკუასელმა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში ახალი წიგნის „სიმღერით გამთბარი მიწის“ წარდგინებისას. პარლამენტარის, ანსამბლ „ქართული ხმების“ წევრის თემურ ჭკუასელის წიგნის წარდგინებას „ქართული ხმების“ წევრები, ხელოვანები, კულტურის მინისტრი გურამ ოდიშარია, მისი მოადგილეები და მოწვეული სტუმრები დაესწრნენ.

წიგნში შესულია 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებამდე დაწერილი ორი ლიტერატურული წერილი და ასევე ლიტერატურული სცენარი სახელწოდებით: „სიმღერით გამთბარი მიწა“. თემურ ჭკუასელის სცენარი საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე 150-ს შორის 7 საუკეთესო სცენარს შორის დასახელდა. რომანისა და კინოსცენარის მთავარი პერსონაჟი „ქართული სიმღერაა“.

წიგნში მოთხრობილია ქართული მომღერალი ოჯახის ამბავი, რომელშიც ორი საუკუნის ისტორია, ორი მსოფლიო ომი ერთიანდება. გურული გლეხის ისტორია ქართველების მომღერალი გენის სიცოცხლისუნარიანობას, მრავალხმიანობის საოცარ ძალას, ქართველი და ებრაელი ერების მეგობრობასა და ურთიერთობას ასახავს.

სცენარში მოთხრობილია მამისა და შვილის ისტორია. სიუჟეტის მიხედვით, მამა პირველ მსოფლიო ომში ტყვედ ჩავარდება და ქართული სიმღერა გადაარჩენს. იგივე ისტორია მეორდება შვილის ცხოვრებაშიც, კერძოდ, მეორე მსოფლიო ომში ფაშისტებისგან მასაც ქართული სიმღერა იხსნის.

სიტყვით გამოვიდნენ: მანანა კარტოზია, თამრი ფხაკაძე, ვახტანგ ბლაგიძე, გიორგი ოვაშვილი, სოსო ცისკარიშვილი, მაყვალა გონაშვილი...

„ერთი კარგი წიგნი შეემატა მწიგნობარი ერის დიდ ბიბლიოთეკას“! – აღნიშნა გურამ ოდიშარიამ.

„თემა აქტუალური და ემოციურია, – ქართული სიმღერა გადაარჩენს ადამიანს. ვმუშაობთ სცენარზე, რათა ფილმად ვაქციოთ. თემურ ჭკუასელის ამ ნაწარმოებში არის უზარმაზარი პოტენციალი, რომ ეროვნული კინო მივიღოთ“... – დასძინა გიორგი ოვაშვილმა.

ეს არის ლიტერატურული სცენარი ორსერიანი მხატვრული ფილმისა. კინემატოგრაფისტები უკვე დაინტერესებულნი არიან. ჭკუასელი იმედოვნებს, რომ მალე მოიძიება ფინანსები ფილმის გადასაღებად, რომელიც ფილმის ავტორებს კომერციულ მოგებას მოუტანს.

ავტორი წლების განმავლობაში მუშაობს, წერს და აქვეყნებს ქართული სიმღერების, მომღერლების, კონცერტების ისტორიას; საგაზეთო პუბლიკაციებიდან შეიქმნა წიგნები, აუდიო და ვიდეოჩანაწერები. 1985 წელს, „ახალგაზრდა კომუნისტში“ იბეჭდებოდა პუბლიკაციები, წერილების სერია სათაურით „სეზამ, გაიღე“, სადაც უკვე მკაფიოდ გამოჩნდა ქართული მრავალხმიანობის ღრმად გაცნობისა და პოლიფონიის საგანძურში დაცული ისტორიების საზოგადოებამდე მიტანის სურვილი.

თამარ შაიშმელაშვილი,

სურათზე: თემურ ჭკუასელი და გურამ ოდიშარია.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ მძლეოსნობა

„სპორტის დედოფალი“ საევროპოდ ემზადება

საძართველოს მძლეოსანთა ნაკრების წევრები მონდომებით ემზადებიან ახალი სეზონისთვის: ზოგი ჩვენთან – დიდუბის მანეჟში, რომელიც დიდი ხნის გამყინვარების შემდეგ გათბა, ზოგიც – უცხოეთში. მაგალითად, სიმაღლეზე მხტომელი ზურაბ გოგოჭური ბელარუსში იმყოფება და იქაურ ზამთრის ჩემპიონატში მე-2 ადგილი დაიკავა. იგი ახლაც მოგილიოვში განაგრძობს მზადებას მძლეოსანთა ევროპის ზამთრის ჩემპიონატისთვის, რომელიც 1-3 მარტს შვეიცარიაში გაიმართება. რამდენიმე დღის წინათ გოგოჭურმა მოგილიოვის საერთაშორისო ტურნირზეც 216 სანტიმეტრით ვერცხლის მედალი დაიმსახურა. ასევე, მეორე იყო 60 მეტრზე თარჯრბენში (8.16) საფრანგეთის საერთაშორისო ტურნირზე დავით ილარიანი. სამფეროვანთა ქვეყანაში ვარჯიშობს მისი შეგირდი – სიგრძეზე მხტომელი ბოლესლავ სხირტლაძეც. სამშობლოში მყოფთა უმრავლესობამ საქართველოს ზამთრის ჩემპიონატში იასპარეზა. გაუწყებთ გამარჯვებულთა ვინაობას:

60 მ. სოფო ჩალაშვილი (თბილისი, 8,04), ბაჩანა ხორავა (ზუგდიდი-ჩხოროწყუ, 7,00), **60 მ/თარჯრბენი**. მაიკო გოგოლაძე (თბილისი, 9,29), ლევან ფიფია (ზუგდიდი, 9,40), **200 მ**. მაიკო გოგოლაძე (26,75), ენდრიკ ზილბერშტეინი (22,42), **400 მ.** გაიანე უსტიანი (1.00,96), ენდრიკ ზილბერშტეინი (49,86), **800 მ.** გაიანე უსტიანი (2.19,93), ანდრანიკ მატინიანი (1.55,08), **1500 მ**. ნუმ პაპიკიანი (ყველა – ახალციხე, 5.30,72), თენგიზ ღვინჯილია (ზუგდიდი, 4.04,16), **3000 მ**. გიული დეკანაძე (ვანი, 10.58,60), დავით ხარაზიშვილი (თბილისი, 9.20,07), **5000 მ.** გიული დეკანაძე (18.51,24), გიგლა ზილბერშტეინი (ახალციხე, 15.49,17), **სიმაღლეზე ხტომა**. ნინო კობალაძე (თბილისი, 145), ლაშა ნუცუბიძე (ქუთაისი, 165), **სიგრძეზე ხტომა.** თათია პაიკიძე (ვანი, 530), ბაჩანა ხორავა (715), **სამხტომი**. თათია პაიკიძე (11,92), გოგა მაღლაკელიძე (14,14), **შუბი**. თეა ფაცურია (ფოთი, 29,90), როსტომ ჭინჭარაული (დუშეთი, 67,60), **ბადრო.** სალომე რიგიშვილი (თიანეთი, 48,74), კობა ტატულაშვილი (სილნაღი, 37,30), **ბირთვი.** სალომე რიგიშვილი (14,10), ზაზა გიგაია (მარტვილი, 11,62), **ესტაფეტა. 4X200**. **ქალები.** 1. თბილისი-I (1.54,34), 2. თბილისი-II (1.58,01), 3. ახალციხე (2.00,59). **ვაჟები.** ზუგდიდი (1.32,09), 2. ახალციხე (1.34,32), 3. თბილისი (1.36,06).

საერთო გუნდური. I ჯგუფი. 1. ახალციხე (364 ქულა), 2. თბილისი (352), 3. ქუთაისი (286). **II ჯგუფი**. 1. ოზურგეთი (77), 2. ბორჯომი (64), 3. მარტვილი (43).

– საქართველოს ჩემპიონატში არ უასპარეზია სამმხტომელ ლაშა ღულელაურს, რომელიც 18 თებერვალს ბაქოში გაემგზავრება და ევროპის ზამთრის ჩემპიონატისთვის იქ აიმაღლებს ოსტატობას, – გვითხრა მძლეოსნობის ეროვნული ფედერაციის ვიცეპრეზიდენტმა **ვასილ ბერიშვილმა**. – მასთან ერთად ორკვირიან საწვრთნელ შეკრებას გაივლიან მაიკო გოგოლაძე, დენის ჟვანია და გიორგი აზარაშვილი, რომლებიც აზერბაიჯანის ღია ჩემპიონატშიც მიიღებენ მონაწილეობას. ეროვნულ ჩემპიონატში სიურპრიზი შემოგვთავაზა 19 წლის სპრინტერმა ბაჩანა ხორავამ: მან არა მარტო 60 მეტრზე რბენა მოიგო, არამედ სიგრძეზე ხტომაშიც აჯობა ყველას, თანაც დებიუტისთვის სრულიად დამაკმაყოფილებელი შედეგით – 715 სანტიმეტრით.

წლეულს უტრეხტში (ჰოლანდია) ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალი გაიმართება, სადაც ჩვენი მძლეოსნებიც გამოვლენ. ნაკრების ძირითად ბირთვს შეუერთდა იმედისმომცემი ქუთაისელი სამმხტომელი გოგა მაღლაკელიძე. მას ტიტების ქვეყანაში საპრიზო ადგილებზე გასვლისა და ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის რეალური შანსიც აქვს. სამხტომში მსოფლიოს პირველობის სალიცენზიო ნორმატივია 14,50 მეტრი. მაღლაკელიძის საუკეთესო შედეგი ამ მაჩვენებელს მხოლოდ 15 სანტიმეტრით ჩამორჩება, ფესტივალამდე კი ხუთი თვეა დარჩენილი.

ლექსო ცინცაძე

◎ ჭიდაობა

თბილისამდე „ოქროს დიდი პრიზია“

წლეულს 19-24 მარტს თბილისში მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატი გაიმართება. ამჟამად ქართველ ფალავანთა მთელი ყურადღება ამ შეჯიბრებისკენ არის მიპყრობილი და მაქსიმალურად ცდილობენ, მისთვის საფუძვლიანად მოემზადონ. საშეჯიბრო გამოცდილების მისაღებად ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა 16-კაციანი ნაკრები, უმთავრესად ეროვნული ჩემპიონატის ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორებით დაკომპლექტებული, თურქეთში იმყოფებოდა და ვეჰბი ემრეს მემორიალში იასპარეზა. ჩვენებურებმა ორი მედალი მოიპოვეს: 84 კილოგრამ წონით კატეგორიაში რევაზ ნადარეიშვილმა მხოლოდ ფინალური პაექრობა დათმო თურქ სელჩუკ ჩებისთან და ვერცხლის მედალს დასჯერდა. 96 კილოში მიხეილ ქაჯაიამ მესამე ადგილი დაიკავა.

ქვეყნის ჩემპიონები და ნაკრების გამოცდილი წევრები 23-24 თებერვალს უნგრეთის ქალაქ სომბათჰეიში „ოქროს დიდ პრიზზე“ მოსინჯავენ ძალებს, შემდეგ კი საწვრთნელ შეკრებას გაივლიან. მხოლოდ ამის შემდეგ დაასახელებს ნაკრების მთავარი მწვრთნელი ბეგი დარჩია იმ შვიდ ფალავანს, რომლებიც თბილისის სპორტის სასახლეში ქვეყნის ღირსებას დაიცავენ.

ლაშა დიდია

◎ ფეხბურთი

ახლოა ანტალიამდე

გუშინ სეზონის მეორე თურქულ შეკრებაზე გაემგზავრა თბილისის „დინამო“, რომელიც ანტალიაში 16 თებერვლამდე ივარჯიშებს და თან 4 სპარინგს ასეთი განრიგით გამართავს.

7 თებერვალი. „დინამო“ – „ამკარი“ (პერმი).
9 თებერვალი. „დინამო“ – „პოლონია“ (ბიტომი).
11 თებერვალი. „დინამო“ – „ტირასპოლი“.
13 თებერვალი. „დინამო“ – „ზარია“ (ლუგანსკი).

ტრავმის გამო სამშობლოში დარჩა ოთარ ხიზანეიშვილი, ხოლო ეროვნულ ნაკრებში გამოძახებული გიორგი ლორია და ირაკლი ძარია პარტნიორებს ალბანეთ – საქართველოს დღევანდელი ამხანაგური შეხვედრის შემდეგ შეუერთდებიან.

რაც შეეხება ახალწვეულებს, „თეთრ-ლურჯებმა“ უკანასკნელ მომენტში 28 წლის გერმანელი მარცხენაფლანგელი პატრიკ მილხრაუმი დაიმატეს, რომელმაც საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატს გემო „ზესტაფონში“ გაუსინჯა, ხოლო მანამდე საკლუბო კარიერის განმავლობაში „კარლსრუეში“, „აუეში“, „ალემანიაში“, „მიუნხენ – 1860“-სა და „შტუტგარტ კიკერსში“ თამაშობდა.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ კალათბურთი

თსუ: ყოფნა-არყოფნის ზღვარზე

გაჭიანურებული საშობაო არდადეგების შემდეგ განახლდა სუპერლიგის ჩემპიონატი.

გათამაშების ლიდერმა შსს აკადემიამ ზღვისპირეთში „ბათუმთან“ გაინავარდა, ხოლო სეზონის აღმოჩენამ „რუსთავმა“ შინ სტუს სტუდენტებთან წაივარჯიშა.

ტურის დანარჩენი შეხვედრები დღეს თბილისის სპორტის სასახლეში ასეთი განრიგით გაიმართება: **14 საათზე:** „დინამო“ – თსუ. **16 საათზე:** „სამედიცინო“ – „ქუთაისი“. **18 საათზე:** „სოხუმი“ – „ოლიმპი“.

როგორც ხედავთ, შუა კვირაში სამი მატჩია დანიშნული, თუმცა ადვილი შესაძლებელია პირველი ჩაიშალოს და, რაც კიდევ უფრო დამაფიქრებელია, დედაუნივერსიტეტის გუნდმა საერთოდ ვეღარ გააგრძელოს ეროვნულ ჩემპიონატში თამაში.

მიზეზი ბანალურია: ქვეყნის წამყვანი უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენელთა ბედი, როგორც სჩანს, აღარავის აღელვებს, უსახსროდ დარჩენილი კლუბი კი ენთუზიაზმის დონეზე ასპარეზობას, ეტყობა, აღარ აპირებს. ღმერთმა ქნას, ვცდებოდეთ.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ რეიტინგი

მარაქაში გავერიეთ

დარბაზბურთის ამბების გაშუქებაში ერთ-ერთმა მოწინავე ვებგვერდმა „ფუტსალ პლანეტამ“ შარშანდელი სეზონის შედეგები შეაჯამა და სხვადასხვა ნომინაციაში საუკეთესოები გამოავლინა.

რჩეულთა შორის საქართველოს ჩემპიონი „იბერია სთარიც“ დაასახელეს, რომელსაც აღზევების პერიოდი უდგას და გაზაფხულზე თბილისში დანიშნულ უეფას თასის გათამაშების ოთხთა ფინალში ითამაშებს.

1. „ბარსელონა“ – 404 ქულა. 2. „კარლოს ბარბოსა“ (ბრაზილია) – 125 ქულა. 3. მოსკოვის „დინამო“ – 125 ქულა. 4. „ინტელი ორლანდია“ (ბრაზილია) – 106 ქულა. 5. „იბერია სთარი“ – 20 ქულა.

აღსანიშნავია, რომ ასევე მეხუთე პოზიცია ხვდა წილად თბილისელთა ბრაზილიელ დამრიგებელ სერჟიო ბენატისაც – 65 ქულა, რომელიც მწვრთნელთა კატეგორიაში შემდეგ კოლეგებს ჩამორჩა: 1. მარკ კარმონა („ბარსელონა“) – 276 ქულა. 2. ედუარდო საო ტიაგო („მურსია“, ესპანეთი) – 161 ქულა. 3. ფაუსტინო მორენო გომესი („დინამო“, მოსკოვი) – 110 ქულა. 4. აპარესიდო დონიტეს სილვა („ინტელი ორლანდია“, ბრაზილია) – 82 ქულა.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ჩოგბურთი

ესპანეთი – თამაშგარეთ

დევისის თასის გათამაშების მერვედფინალში სიურპრიზი შემოგვთავაზეს კანადელებმა, რომლებმაც ტურნირიდან რაფაელ ნადალის გარეშე მოთამაშე 2011 წლის ტრიუმფატორები ესპანელები გამოთიშეს – 3:2.

საკმაოდ გაუჭირდა შვეიცარიული წინაღობის დაძლევა შარშანდელ ჩემპიონ ჩეხეთს, თუმცა ტომაშ ბერდიხის ძალისხმევით მაინც განაგრძობს ტიტულის დაცვას – 3:2. აღსანიშნავია, რომ მეტოქეს როჯერ ფედერერი აკლდა.

დანარჩენი შედეგები: აშშ – ბრაზილია 3:2, ყაზახეთი – ავსტრია 3:1, არგენტინა – გერმანია 5:0, იტალია – ხორვატეთი 3:2, საფრანგეთი – ისრაელი 5:0, სერბეთი – ბელგია 3:2.

5-7 აპრილს მეოთხედფინალში ერთმანეთს შეხვდებიან: აშშ – სერბეთი, იტალია – კანადა, ჩეხეთი – ყაზახეთი, არგენტინა – საფრანგეთი.

გეჟან დოლიძე

◎ სკანდალი

„ჩაწყობები“ - უმაღლეს დონეზე

ევროკავშირის პოლიციის სამსახურმა ევროპოლმა ჰოლანდიის დედაქალაქ ჰააგაში, საკუთარ შტაბ-ბინაში საგანგებო პრესკონფერენცია გამართა, რომელიც ფეხბურთში გარიგებული თამაშების პრობლემებს მიუძღვნა.

ამ ავტორიტეტული საერთაშორისო სტრუქტურის გამოძიების მონაცემებით, რომელიც წელიწადნახევარს გაგრძელდა, უკანასკნელ პერიოდში 380 ჩაწყობილი მატჩი გამოვლინდა, რომელთა შესახებაც 420 ფეხბურთელი და 15 ქვეყნის ოფიციალური პირები იყვნენ ინფორმირებულნი.

აღსანიშნავია, რომ გარიგებული შეხვედრების ჩამონათვალში ჩემპიონთა ლიგის ორი, ასევე მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი რაუნდების თამაშები მოხვდა. ევროპოლის თავკაცის რობ უეინრაიტის თქმით, მატჩები ასეთ დონეზეც „ეწყობა“ და მათი რაოდენობა სავარაუდოზე გაცილებით მეტი აღმოჩნდა.

დავძენთ, რომ ევროპოლის მონაცემებით, გარიგებული თამაშებიდან უკანონოდ მიღებული თანხების ბრუნვამ 16 მილიონ ევროს მიაღწია.

გიორგი შოთაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ინფორმაცია

ზუგდიდში არსებული ვითარების გამო, ზუგდიდელები თავს შეურაცხყოფილად გრძნობენ

ამ ბოლო დროს განვითარებული მოვლენები, რაც გამოიხატება ზუგდიდში „ქართული ოცნებისა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლების „ჩახუტებაში“, ზუგდიდელთა აღშფოთებასა და გულისწყრომას იწვევს. ისინი განსაკუთრებით მას შემდეგ აღშფოთდნენ, როდესაც „ქართული ოცნების“ პარტიული კონფერენცია პარტიზანულ, კონსპირაციულ ვითარებაში ჩატარდა და იქ მისვლისა და დასწრების უფლება ბევრ პიროვნებას, რომელნიც აქტიურად ებრძოდნენ „ნაცებს“, არ მიეცათ. ზუგდიდელები იმაზეც ამახვილებდნენ ყურადღებას, რომ იგნორირებულნი არიან საზოგადოების ავტორიტეტული პროფესიონალი ადამიანები და ასპარეზი დათმობილი აქვთ მედროვეებს და არაპროფესიონალებს.

თორნიკე ხუბუა — „ზუგდიდში არსებულ ვითარებაზე შეიძლება ითქვას „ბედაურები გადაშენდნენ და ვირებს შერჩათ ქვეყანაო“. არც თბილისი ინტერესდება ჩვენთან არსებული ვითარებით. ისეთ რაიონში, როგორიც ზუგდიდია, მმართველი პარტიის დამფუძნებელ ყრილობაზე თბილისიდან „ქართული ოცნების“ არც ერთი წარმომადგენელი არ ჩამობრძანებულა და პირდაპირ ვერტიკალური წესით დაგვისვეს აქ თავმჯდომარედ პიროვნება, რომელიც ზუგდიდში არავის არ უნახავს და არავინ არ იცნობს.“

დავა მეუნარგია — „ჩვენ იმისთვის არ გვიბრძოლია, რომ ზუგდიდში ასეთი გარიგებები წარმართულიყო „ოცნებისტებსა“ და „ნაცისტებს“ შორის და ებოგინათ ისეთ პიროვნებებს, რომელთაც არანაირი ავტორიტეტი და დამსახურება არ მიუძღვით საზოგადოების წინაშე. „უძაღლო ქვეყანაში კატებს აყეფებდნენო“, სწორედ ზუგდიდში არსებულ მდგომარეობაზეა ნათქვამი. ის რაც ხდება ზუგდიდში თითოეული ჩვენგანის შეურაცხყოფაა.“

სოსო ლაგვილავა — „ყველა პარტიის უფლებაა თვით განსაზღვრონ და აირჩიონ საკუთარი კანდიდატი, მაგრამ ეს უნდა ხდებოდეს გამჭვირვალედ. საზოგადოებისთვის სულერთი არ არის თუ როგორი პიროვნებები ჩაანაცვლებენ „ნაცების“ კადრებს. საზოგადოებაში დამკვიდრებულია აზრი, რომ ბატონ ბიძინა ივანიშვილისგან მალულად, ფარულად, ვიღაც-ვიღაცები ურევენ და იღებენ არასწორ გადაწყვეტილებებს. საზოგადოება ითხოვს, სანამ ჯერ გვიან არ არის ფაქიზად და სინდისიერად მიუდგეთ ამ საქმეს, წინააღმდეგ შემთხვევაში პასუხისმგებლობა დაეკისრებათ იმათ, ვინც ურევს და ღალატობს ქვეყნის ხელისუფალთ.“

სოსო ბეჭვაია — „მე „ქართულ ოცნებას“ ვედექი მხარში. სხვებისაგან კი ვიგებ, რომ ქართული ოცნების ზუგდიდის ორგანიზაციის თავმჯდომარედ აურჩევიათ ისეთი პიროვნება, რომელიც უცნობია ზუგდიდის საზოგადოებისთვის. როგორც გაირკვა ეს პიროვნება ყოფილა „ნაციონალური მოძრაობის“ აქტიური წევრი, „კუდის“ ყოფილი თანამშრომელი, რომელიც ოპოზიციურად განწყობილი მოქალაქეების დარბევაში და დაპატიმრებებში არის მხილებული. თუ ასე გაგრძელდა საქართველოს მასშტაბით, მაშინ გამოდის, რომ ჩვენ მივიღებთ „ნაციონალებ 2-ს“ და თუ ასე განვითარდა მოვლენები საქართველოში, შეიძლება მოხდეს დაპირისპირება და ქაოსი და როგორც იტყვიან, მერე „გვიან იქნება თითზე კბენანი.“

ბესიკ ადამია — „მე ვიყავი „ქართული ოცნების“ კოორდინატორი ინგირის ზონაში, გამომყავდა ხალხი აქციებზე, თავი მქონდა გადადებული და კოორდინატორებზე ხელფასები ჯერ კიდევ არ არის დარიგებული. ზუგდიდში ისე ჩატარდა პარტიული კონფერენცია და ისე აირჩიეს თავმჯდომარე და დელეგატები, ჩემისთანა ერთგული ადამიანებისათვის არც შეუტყობინებიათ. ზუგდიდში არაფერი არ შეცვლილა უკეთესობისაკენ. პირიქით უარესობაა, რადგან „ნაციონალები“ თავიან კადრებს ნიშნავენ „ქართული ოცნების“ სახელით. დროა ხმა ამოვიღოთ, მეტის მოთმენა არ შეიძლება“.

ლადო ძირია
ზუგდიდი.

◎ ინფორმაცია

საქართველოს პატრიარქის შემდეგ რუსეთის პატრიარქს აფხაზი ე.წ. სასულიერო პირებიც სტუმრობდნენ

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქს კირილს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესი ილია მეორის შემდეგ, სეპარატისტული აფხაზეთის ე.წ. სასულიერი დელეგაციაც სტუმრობდა.

აღნიშნული ვიზიტის შედეგების შესახებ ე.წ. აფხაზეთის ეპარქიის ე.წ. ხელმძღვანელმა ბესარიონ აპლიამ აფხაზ სეპარატისტთა ლიდერს ალექსანდრე ანქვაბს მოუთხრო. აფხაზური მხარის ინფორმაციით, აპლიამ ანქვაბს გადასცა, რომ რუსეთის პატრიარქმა მთელი აფხაზი ხალხი დალოცა.

მათივე ინფორმაციით, შეხვედრაზე ასევე საუბარი მიდიოდა აფხაზ სასულიერო პირებს შორის არსებულ განხეთქილებაზე. დამატებითი ინფორმაცია აღნიშნული შესახებ არ ვრცელდება.

ალექსანდრე რარი: შესაძლოა, აფხაზეთის მონაკვეთის გავლით რკინიგზა მართლაც გაიხსნას

ექსპერტი საერთაშორისო პოლიტიკის საკითხებში ალექსანდრე რარი აცხადებს, რომ აფხაზეთის გავლით რკინიგზის აღდგენის პერსპექტივა რეალურია. ეს განცხადება მან ერთ-ერთ სომხურ მედიასაშუალებასთან საუბრისას გააკეთა.

მისივე მტკიცებით, სწორედ ამ თემაზე მიმდინარეობს მოლაპარაკებები საქართველოსა და რუსეთს შორის და მისივე თქმით, რკინიგზა, რომელსაც ჰუმანიტარული მნიშვნელობა აქვს შესაძლოა მოლაპარაკებების შედეგად მართლაც გაიხსნას.

„მიმაჩნია, რომ თუ მხარეები გაითვალისწინებენ, რომ რკინიგზა ადამიანთა გადაადგილების საშუალება იქნება არა პოლიტიკური არამედ ჰუმანიტარული მიზნებისათვის, მაშინ რკინიგზის აღდგენის იდეა განხორციელებადი გახდება“, — აცხადებს ალექსანდრე რარი.

ახალი მოწმე შარაძის მკვლელობაში

გურამ შარაძის მკვლელობის საქმეში ახალი გარემოება გამოჩნდა, რაც სასამართლო განაჩენის გადახედვის შესაძლებლობას იძლევა, — ამის შესახებ გუშინდელ პრესკონფერენციაზე ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ ზაზა ხატიაშვილმა და გურამ შარაძის ოჯახის ადვოკატებმა ირაკლი გაბრიჩიძემ და გელა ნიკოლაიშვილმა განაცხადეს.

ირაკლი გაბრიჩიძის განცხადებით, საქმეში ახალ გარემოებას წარმოადგენს სავარაუდო მოწმის ჩვენება, რომელიც IV საპყრობილეში პატიმრობაში მყოფ გიორგი გათენაძეს ეკუთვნის. ადვოკატი აპირებს, მთავარ პროკურატურაში განაცხადი შეიტანოს, რომელსაც პატიმრის გამოკითხვის ოქმი დაერთვება.

გაბრიჩიძის თქმით, პატიმარი 2008 წლიდან ინვალიდია.

— ის მიუთითებს იმ გარემოებებზე, რომ ბარათელი არ არის მკვლელი. მკვლელი არის სულ სხვა. ამ პიროვნებას აიძულებდნენ, რომ ბარათელზე ზემოქმედება მოეხდინა, რათა მას დაებრალებინა არა მარტო გურამ შარაძის მკვლელობა, არამედ დაესახელებინა, რომ მკვლელობის შემკვეთი იყო გოგა ხაინდრავა. პატიმრის ჩვენება დამაჯერებელია„ — აღნიშნა გაბრიჩიძემ.

მისივე თქმით, პატიმარ გათენაძეს ბარათელზე ზემოქმედების მოსახდენად მითითებებს ოლეგ მელნიკოვი და კიდევ ერთი პიროვნება აძლევდა. ადვოკატმა განმარტა, რომ გათენაძემ მელნიკოვი ტელეთეორით იცნო. მან ასევე ტელეკადრებში ამოიცნო მეორე პიროვნება, თუმცა მისთვის ამ პიროვნების სახელი და გვარი უცნობია.

ადვოკატი იმედს გამოთქვამს, რომ გამოძიება ახალ კვალზე გავა, ობიექტური გამოძიება ჩატარდება და დადგინდება ნამდვილი მკვლელი. გაბრიჩიძე ასევე იმედოვნებს, რომ სიმართლის დასადგენად პატიმარ გათენაძისა და მელნიკოვის დაპირისპირება მოხდება.

პრესკონფერენციაზე ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ ზაზა ხატიაშვილმა თავის მხრივ აღნიშნა, რომ ხელისუფლება უკვეთავდა მკვლელობებს, შემდეგ ამ მკვლელობების გადაბრალებას ცნობილ სახეებზე ცდილობდა. კერძოდ, ხატიაშვილის თქმით, ხელისუფლება ცდილობდა გადაებრალებინა გოგა ხაინდრავასთვის, რომ თითქოს მკვლელობისთვის 500 ათას დოლარს გადაიხდიდა.

ხატიაშვილი მიიჩნევს, რომ გურამ შარაძის ბურუსით მოცული მკვლელობის შემკვეთი და შემსრულებელი საბრალდებო სკამზე უნდა დაჯდეს, რათა სამოქალაქო საზოგადოებას ამ მკვლელობაზეე შეკითხვები აღარ დარჩეს.

— თუ მკვლელები საბრალდებო სკამზე არ დაჯდებიან, სამოქალაქო საზოგადოება ქვეყანაში ვერ განვითარდება, — აცხადებს ხატიაშვილი.

ინტერპრესი

◎ სამართალი აღსდგა

ბავშვებს ბაღი დაუბრუნდათ

გორში, დევნილებისთვის გარემონტებულ ყოფილ ისტორიუილი ბაღის შენობას ისევ ბაღის სტატუსი დაუბრუნდება და სასწავლო პროცესი განახლდება. აღნიშნული ინფორმაციით ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრმა დავით დარახველიძემ ბავშვები, მათი მშობლები და პედაგოგები გუშინ გაახარა.

ყოფილი მთავრობის გადაწყვეტილებით, გორის ყოფილ მე-9, ისტორიულ ბაღს ფუნქცია ჩამოერთვა და ის დევნილი მოსახლეობის შესასახლებლად გარემონტდა. ახალმა ხელისუფლებამ მშობლების, მასწავლებელებისა და საზოგადოების თხოვნა ბაღის დაბრუნების შესახებ გაითვალისწინა და ყოფილ ბაღს ფუნქცია დაუბრუნა.

მინისტრი დავით დარახველიძე მაჟორიტარ დეპუტატთან და გამგებელთან ერთად საბავშვო ბაღის ყოფილ თანამშრომლებს, ბავშვებსა და მათ მშობლებს შეხვდა, აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა და გარემონტებული ოთახების გასაღები გადასცა.

მშობლები ბაღში ბავშვებთან ერთად მივიდნენ და ემოციებს ვერ მალავდნენ.

◎ რეფლექსი

თავის ტვინი ფველას რომ ითხოვს...

მთძნარება — ერთ-ერთი უძველესი რეფლექსთაგანია, რომელიც დამახასიათებელია არა მარტო ადამიანისთვის, არამედ ცხოველებისთვისაც, მათ შორის ძუძუმწოვრებისთვის, ფრინველებისთვის და, თქვენ წარმოიდგინეთ, ქვეწარმავლებისთვისაც კი!

ამ რეფლექსის ჭეშმარიტი მიზეზების შესახებ დანამდვილებით არავინ იცის, სამაგიეროდ კარგადაა ცნობილი, რომ **ადამიანი პირველად დედის მუცელში, სიცოცხლის მე-12 კვირას ამთქნარებს.** ამის გარდა ასევე ცნობილია, რომ **მთქნარება მარგებელია.** მისი წყალობით ხდება ფილტვების ვენტილაცია, ჩქარდება მიმოცვლითი პროცესები, მიმდინარეობს ორგანიზმის შრომისუნარიანობის აღდგენა, უმჯობესდება არა მარტო თავის ტვინის, არამედ სახის კანის სისხლმომარაგება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მთქნარებას ასევე გამახალგაზრდავებელი ეფექტიც ახლავს.

თურმე **ზამთარში ადამიანი უფრო ხშირად ამთქნარებს.** მთქნარების დროს ხდება თავის ტვინის ბუნებრივი თერმორეგულირება: ქვედა ყბის კუნთების მუშაობის ხარჯზე ძლიერდება სისხლის მიმოქცევა, ცივი ჰაერის ნაკადი კი ხელს უწყობს სითბოს მიმოცვლას.

ამასთან, **მთქნარება სტრესის დროს შინაგან დაძაბულობაზე გენეტიკური რეაქცია ყოფილა:** სისხლის ჟანგბადით გასაჯერებლად, თავის ტვინის მუშაობის გასააქტიურებლად ორგანიზმს სუფთა ჰაერის მიწოდება სჭირდება.

ყველაზე ხშირად ადამიანები ადრე დილით ან გვიან საღამოს ამთქნარებენ. ეს თავის ტვინის აქტიურობის შენარჩუნებას უწყობს ხელს, რასაც მისი ჟანგბადით კვება ეხმარება.

მთქნარება — დასვენების საბაბია. გაძლიერებული გონებრივი დატვირთვის დროს, ნერვული უჯრედები თავს იცავენ და თავიანთ მოქმედებას ამუხრუჭებენ. სწორედ ამ დროს იწყება მთქნარება, რაც თავის ტვინის ერთგვარად მშველელს წარმოადგენს.

გაუნიავებელ ოთახში უკლებლივ ყველანი ამთქნარებენ. ამ დროს თავის ტვინს ჟანგბადის ნაკლებობა აქვს, ამიტომ მის მიღებას იგი ყველა შესაძლო ხერხით ცდილობს.

მთქნარება გადამდებია, მაგრამ მხოლოდ მათთვის, ვისაც თანაზიარების უნარი აქვს. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ დამთქნარებული კაცის დანახვაზე მეორე კაცის თავის ტვინის ის უბნები, რომლებიც თანაზიარებაზე არიან პასუხისმგებელნი, უფრო აქტიურად იწყებენ მუშაობას, რასაც მთქნარება მოყვება.

დამთქნარება, საშუალოდ, დაახლოებით ექვს წამს გრძელდება. ხოლო თუ ვინმე უფრო დიდხანს ამთქნარებს, ეს მთქნარების საკუთარი მანერისა და ჩვევის ამბავია. ზოგნი მთქნარებისას რაღაც ხმებს გამოსცემენ, თუმცა კი, ფიზიოლოგიურ მთქნარებასთან ამას საერთო არაფერი აქვს.

ლალი ხუნდაძე

საქართველოს თეატრალური საზოგადოება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი თეატრმცოდნე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, მარჯანიშვილის პრემიის ლაურეატი, პროფესორი

ნათელა ურუშაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

შვილები ნოდარი, გია, გოჩა, ნინო, რძლები ნაირა, ელისო, ხათუნა, შვილიშვილები ლაშა, შოთა, გაბრიელი, გეგი, თამარი, ანა, სალომე, მარიმი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

შოთა ესტატეს ძე კვიციანი

დაკრძალვა 9 II, 14 სთ. მესტიის რაიონში, დაბა მესტია.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ყურადღება!

აქტიური პროცესები თებერვალში

თებერვალში გეოფიზიკური აქტივობის გაძლიერება მოსალოდნელია: 7-13, 17-19, 25 რიცხვებში. ამ დღეებში შესაძლებელია ციკლონებისა და გრიგალების ჩამოყალიბება, ყველა სახის ავარიულობის ზრდა, სეისმოაქტიურობისა და დაძაბულობის გაძლიერება სოციუმში.

7 – მთვარის პერიგეა, მთვარე-პლუტონის შეერთება. შეიძლება შეინიშნებოდეს მოვალეობისა და პასუხისმგებლობის გრძნობათა გამწვავება ენერგიის უკმარისობის და დაქვეითებული ემოციური ტონუსის დროს. შესაძლებელია სასქესო ორგანოების და ხერხემლის დაავადებათა გამწვავება, ოსტეოქონდროზი, ტკივილები მუხლის სახსრებში და კბილებში, გაციების დაავადებანი. სააღბათოა კანის, ენდოკრინული და მემკვიდრეობითი დაავადებანი. არის მოტეხილობისა და ტრავმატიზმის ალბათობაც. სენი, რომელიც წარმოიქმნება ამ დროს, შეიძლება იყოს ხანგრძლივი და მომქანცველი. ნუ გაცივდებით და ნუ ასწევთ სიმძიმეებს – გადატვირთვა და ზედმეტი ფიზიკური სიმძიმეები შეიძლება აისახოს ფარისებრ და კუჭქვეშა ჯირკვლებზე. სასარგებლოა გაკაჟება, კანის მოვლა და გამაჯანსაღებელი პროცედურები.

9 – მთვარე-ვენერის შეერთება. შეიძლება შეინიშნებოდეს მიდრეკილება ტრაბახისკენ, საკუთარი აზრის თავის მოხვევა სხვისთვის, ყბედობა, სურვილი – მოვიცვათ მოუცველი. შესაძლებელია ნერვული სისტემის მოშლილობა, მხედველობის გაუარესება, ტკივილები სახსრებში, ანემია, ენდოკრინული დარღვევები. მოწყვლადია ასევე ვენები და ფეხები. ერიდეთ გაციებას, ნუ გადატვირთავთ თვალებს, გამოიყენეთ მხოლოდ კვების ხარისხიანი პროდუქტები. გაიხარეთ ცხოვრებით, მოდუნდით, იყავით დიპლომატიური – ამის ხარჯზე შეიძლება გავიუმჯობესოთ ცხოვრების ხარისხი. ხელსაყრელი დღეა შემოქმედებისთვის, საკუთარი თავისა და სახლის გალამაზებისთვის, ინტელექტუალური მეცადინეობებისთვის, დასვენებისა და ძალების აღდგენისთვის.

10 – სავსე მთვარე. მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ცვლილება. შესაძლებელია დაბნეულობა, მგრძნობელობა, გაღიზიანება, მოყინვა, ანემია და საერთო სისუსტე. ყველაზე მოწყვლადია ფეხები, ვენები, ნერვული სისტემა, მხედველობა. უარი უნდა ვთქვათ ხანგრძლივ სიარულზე და ფეხზე დგომაზე, გაუფრთხილდით თვალებს დიდი დატვირთვისგან – კითხვისგან, ტელევიზიის პროგრამების ყურებისგან, კომპიუტერთან მუშაობისგან. საწინააღმდეგო მაჩვენებელია ოპერაციები, რომლებიც დაკავშირებულია ფეხებთან და სახსრებთან. ადამიანების ქცევა ამ დღეს შეიძლება იყოს მოულოდნელი და არაჩვეულებრივი, მოვლენებზე რეაქცია კი – არაადეკვატური, ხელსაყრელი დროა დასვენებისთვის, ინტელექტუალური მუშაობისთვის, შემოქმედებისთვის. რეკომენდებული არ არის დავიწყოთ ახალი საქმეები და ავაგოთ გეგმები.

11 – მთვარის ნეპტუნთან, მარსთან და მერკურთან შეერთება. მეტად სავარაუდოა აგრესიულობა, გაღიზიანება, უყურადღებობა, იმის უნარის უქონლობა, რომ სწორად შევაფასოთ სიტუაცია. შესაძლებელია მწვავე ანთებითი და ინფექციური დაავადებანი, სისხლისა და თავის დაავადებანი, თავის და ხელების ტრავმები – დამწვრობა, ჭრილობები, მოტეხილობა, სპაზმები, ნევრალგია. არ არის გამორიცხული ფსიქიკის, იმუნური და ენდოკრინული სისტემების დაზიანება, ტკივილები ტერფებში, შეშუპება. სასურველია არ გადავტვირთოთ ღვიძლი, ფეხები და სმენის ორგანოები, დავიცვათ სიმშვიდე, არ ჩავერთოთ კონფლიქტებში, უარი ვთქვათ ურთიერთობათა გამორკვევაზე, ალკოჰოლისა და ყავის მიღებაზე, ერიდეთ ტრავმატიზმს, მოტყუებასა და ქურდობას, იყავით ფრთხილად მგზავრობის დროს ტრანსპორტში, გადადეთ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება და ფასიან ქაღალდებზე ხელმოწერა. სასარგებლოა წყლის პროცედურები, ტერფების მასაჟი, მსუბუქი ფიზიკური ვარჯიშები და სეირნობა.



13 – მთვარე-ურანის შეერთება. შესაძლებელია დაავადებანი ნერვული დაძაბულობისა და უმართავი ემოციებისგან, ნერვიულობა და განუსჯელობა, მეტად სააღბათოა თავის, თვალების დაავადებანი, ძილის მოშლა, კუჭის აშლილობა, თავბრუსხვევა და კრუნჩხვა. ემოციების დათრგუნვამ შეიძლება მიგვიყვანოს ნერვულ ჩავარდნასთან ან ტრავმატიზმთან. რეკომენდებულია დავიცვათ ძილისა და დასვენების რეჟიმი, არ გადავტვირთოთ თავი გონებრივი და ფიზიკური შრომით, უარი ვთქვათ აღმგზნებ სასმელებზე, ყავაზე და შოკოლადზე, დიდხანს ვიყოთ ჰაერზე, ნუ იჩქარებთ, ერიდეთ დაცემას. ახალმა იდეებმა შეიძლება შეიტანოს დადებითი შედეგები მუშაობასა და ყოფაში. შესაძლებელია ახალი შეხედულება არსებულ პრობლემებზე.

17 – მთვარის პირველი მეოთხედი. მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ცვლილება. შეიძლება გაგვიჩნდეს სიფრთხილე, სიჯიუტე. დღის გაზრდილი ენერგეტიკის დროს ამან შეიძლება მიგვიყვანოს კონფლიქტებთან და დავებთან. ურთიერთობათა გარკვევა უმჯობესია გადავდოთ მეორე დღისთვის, სასურველია, არ გადავტვირთოთ სახსრები, ერიდეთ გაციებას, ანგინას და კვებით მოწამვლას. სასარგებლოა წყლის პროცედურები, ხარისხიანი პროდუქტები და კვებაში მცირედი შეზღუდვები (საკვებს ახლა კარგად ვითვისებთ, ამიტომ ადვილია სიმსუქნე).

18 – მზე გადადის თევზების ნიშანში, მთვარე-იუპიტერის შეერთება. შესაძლებელია ღვიძლისა და სასუნთქი ორგანოების (პნევმონია, ბრონქიტი, ასთმა) დაავადებანი, წყლის ბალანსის დარღვევა. არ არის გამორიცხული რევმატიული ჭვალი მხრისა და ზურგის მიდამოებში, ტკივილები კუნთებსა და ხელის სახსრებში. სასურველია, შევამციროთ ფიზიკური დატვირთვები ხელებზე, დავიცვათ დიეტა. ნერვული სისტემის მდგომარეობა ძლიერ გავლენას ახდენს ჯანმრთელობაზე, განსაკუთრებით კუჭსა და კვების გადამუშავებაზე. სასარგებლოა წყლის პროცედურები, სუნთქვითი ვარჯიშები, სეირნობა. ერიდეთ ზედაპირულ დამოკიდებულებას ცხოვრების სერიოზული პრობლემებისადმი და შესაძლო სირთულეების შეუფასებლობას.

25 – სავსე მთვარე. მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ცვლილება. მაღალია გაცვლითი პროცესების სიჩქარე, შესაძლებელია ემოციური აღგზნება, უძილობა, შინაგანი შფოთვა, შესაძლებლობათა გადაფასება. არ არის გამორიცხული არტერიული წნევის ამაღლება, ანთებითი პროცესები, ქრონიკულ დაავადებათა გამწვავება. გაზრდილია მადა, კარგად ვითვისებთ საკვებს (შეიძლება მალე მოვიმატოთ წონაში). რეკომენდებულია, ვიყოთ ზომიერები ჭამაში, ალკოჰოლური სასმელების მიღებაში, არ ჩავერთოთ კონფლიქტებში, ვიყოთ ფრთხილი ცეცხლთან და ყურადღებიანი საჭესთან.

◎ ჩვენი პრესდაიჯესტი

ყურადღებიანი გაზეთებიდან

„ოცნების“ უხელფასო და შეურაცხყოფილი კოორდინატორები

„ქართული ოცნების“ კოორდინატორები და წინასაარჩევნო სამუშაოებში ჩართული ადამიანები აღშფოთებას ვეღარ ფარავენ. საქმე ისაა, რომ მათ ამ დრომდე ჯერ კიდევ არ მიუღიათ იმ სამუშაოს გასამრჯელო, რაც მათ არჩევნებამდე შეასრულეს.

ამ ყველაფერს კი ისიც დაერთო, რომ „ქართული ოცნების“ ლიდერები თავიანთ გამოსვლებში თამამად აცხადებენ, რომ ეს პრობლემა უკვე მოგვარებულია და თანხა ყველა იმ ადამიანმა მიიღო, ვინც წინასაარჩევნოდ კოალიციის რაიმე სამუშაო შეასრულა.

„რეზონანსი“

მოსახლეობის პირველადი ხარჯები, დაახლოებით, 10-13 პროცენტით შემცირდა

არჩევნების შემდეგ საწვავზე ფასი 20-25 თეთრით შემცირდა, დაახლოებით 40 პროცენტით გაიაფდა მედიკამენტები, ამასთან ფასმა დაიკლო საკვებ პროდუქტებზე – გაიაფდა ხორცი, სოფლის მეურნეობის პროდუქცია, მათ შორის, იმპორტირებული საქონელი. გარდა პირველადი მოხმარების პროდუქციისა, შემცირდა ელექტროენერგიის ტარიფიც, ამას მერიის 100-ლარიანი ვაუჩერიც დაემატა. ამ ყველაფერმა კი მოსახლეობის პირველადი ხარჯები, დაახლოებით, 10-13 პროცენტით შეამცირა. ფასების შემცირების გაგრძელებას პროგნოზირებენ ექსპერტებიც, თუმცა თვლიან, რომ ეს მოსახლეობის ხარჯებზე ნაკლებად აისახება. პროდუქციის გაიაფება იმას არ ნიშნავს, რომ ხარჯები შემცირდა. ეს იმის დასტურია, რომ მოსახლეობას მიეცა საშუალება, თავის განკარგვაში არსებული ფულადი რესურსით დამატებითი მომსახურება მიიღოს.

„რეზონანსი“

„გია ხუხაშვილმა ზურაბ ადეიშვილი ჩაანაცვლა“

– თვლის „ახალი მემარჯვენეების“ თავმჯდომარე ფიქრია ჩიხრაძე, – სამწუხაროდ, ამაზე ძალიან დიდი საუბარია, იძახიან იმასაც, რომ ხუხაშვილი ხელისუფლების რუხი კარდინალია. მე თვითონ ამ ადამიანებთან საუბარი არ მქონია, მაგრამ კვამლი უცეცხლოდ არ ჩნდება. ეტყობა, რაღაც ამგვარ ინიციატივებთან გვქონდა საქმე.

„ახალი თაობა“

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

◎ ანეკდოტები

სარეკლამო აგენტი ბინაში რეკავს. კარს აღებს ლამაზი ახალგაზრდა ქალი, რომელსაც დაუდევრად წამოცმული ხალათი ფაქტობრივად ვერაფერს უფარავს.

– უნდა გაგაფრთხილოთ, – ეუბნება იგი აგენტს, – რომ ჩემი ქმარი ზუსტად ერთ საათში მოვა.

– მაგრამ მე ხომ არაფერს არ ვაკეთებ, – მხრებს იჩეჩავს გაკვირვებული აგენტი.

– საქმეც ეს არის, დრო კი გადის.

* * *

მივლინებიდან დაბრუნებული ცოლი ხედავს, რომ მისი ქმარი ვიღაც ქალთან ერთად საწოლში წევს და სიგარეტს აბოლებს, ნებივრობს სექსის შემდეგ.

– აბა, ამის მერე როგორ უნდა გენდო? – ეუბნება გონს მოსული ცოლი – შენ ხომ დამპირდი, მოწევას მივატოვებო!

* * *

საძინებელში მოულოდნელად შესული ცოლი ხედავს, რომ ქმარს გახურებული სექსი აქვს ვიღაც უცნობ ქალთან.

– თქვენ აქ რას აკეთებთ?

– ხომ გეუბნებოდი, ჩემი ცოლი ნაღდად დებილია-მეთქი! –ეუნება ქმარი პარტნიორს.

* * *

– **როგორ** შეგეძლო ამის გაკეთება! – კიცხავს საცოლე თავის საქმროს. – როგორ წახვედი ახალი წლის ღამეს სხვაგან და არ დაბრუნდი! მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს!

– შენ გგონია, რომ მე მოვხუჭე?

◎ კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერონსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა მაშაკიძე 514 33-33-24

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com